საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-პარასკევი, 22-23 ოქტომბერი. 2020 წ. №139-140 (9065-9066) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



უმძიმესი დანაშაული ზუგდიდში ნაცხროვის ხელწერით...

გუშინ შუადღისას „საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალში, ნიღბიანი, სამხედროფორმიანი შეიარაღებული პირი შეიჭრა, რომელმაც ბანკის შენობაში მყოფი მოქალაქეები და მომსახურე პერსონალი მძევლად აიყვანა. იგი უსაფრთხოების გარანტიასა და ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდა. პოლიციასა და თავდამსხმელს შორის გარკვეული სახის კომუნიკაციაც შედგა.

ზუგდიდში ჩავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური. იგი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს. მობილიზებული იყო სამხედრო ტექნიკა და სამართალდამცველები. სამწუხაროდ, რამდენიმე მედიასაშუალება პირდაპირ ეთერში გადასცემდა მიმდინარე მოვლენებს, აგრეთვე ნიღბიან დამნაშავეს და მისი მოთხოვნების გამხმოვანებელ ერთ-ერთ მძევალს, რომელიც მოგვიანებით გაირკვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირი ვინმე ირაკლი კვარაცხელია იყო. თავდამსხმელის მოთხოვნები მან „მთავარი არხის“ ეთერში გააჟღერა, რამაც ადგილზე შეკრებილი მოქალაქეები სამართლიანად გააღიზიანა.

„ირაკლი კვარაცხელია სააკაშვილის ფანია, ფაქტია, რომ ბანკის გამტაცებლის სურვილებს „ნაცმოძრაობა ახმოვანებს“ — განაცხადა ერთ-ერთი მძევლის ახლობელმა, რომელმაც კვარაცხელია ამოიცნო!

მოგვიანებით თავდამსხმელმა 19 მძევლიდან ერთ-ერთი გაათავისუფლა...

ეს შემზარავი „სანახაობა“ და თავდამსხმელის გაუვნებელყოფის ოპერაცია გვიანობამდე გაგრძელდა...

KIU

იხ. 2 გვ.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი იწყებს!..

ქუთაისი, სწორედ თავისი საზოგადოებით, წარსულით, ქალაქური კულტურით, გახსნილობით, სითბოთი და განუმეორებელი იუმორით იქნება ადგილი, სადაც დაიწყება ახალი, მშვიდობიანი კავკასიის ისტორია. დღეს აქ იბადება მშვიდობიანი, განათლებული და კულტურული საქართველო და კავკასია, რომელსაც შესწევს უნარი, გლობალურ მსოფლიოში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს“.

სალომე ზურაბიშვილი

გიორგი გახარია: არჩევნები გამჭვირვალე, დემოკრატიული, სამართლიანი და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისითაც უსაფრთხო იქნება

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მსოფლიო იმყოფება ინფიცირების ზრდის ფაზაში, მათ შორის საქართველოც, არავის უნდა ეგონოს, რომ ეს ზრდა არ გაგრძელდება, მაგრამ წესების დაცვით, უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, პირველ რიგში ჩვენს მოხუცებულებს და მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებს. ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ, უნივერსიტეტებიც უნდა გავხსნათ, არჩევნებიც უნდა ჩავატაროთ და ეკონომიკაც უნდა ავამუშაოთ. აქ ბალანსია ყველაზე მნიშვნელოვანი. ერთ მარტივ მაგალითს გეტყვით, დარწმუნებული ვარ, იმ წესებით, რომელიც შემუშავებულია ცესკო-სა და ეპიდემიოლოგების მიერ, საარჩევნო უბანი იქნება ბევრად უფრო უსაფრთხო, ვიდრე ბევრი სუპერმარკეტი. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არჩევნები გარდა იმისა, რომ უნდა იყოს გამჭვირვალე, დემოკრატიული და სამართლიანი, იყოს ჯანმრთელობისა და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო, ეს ასეც იქნება. მე როგორც ჩვენს მხარდამჭერებს, ასევე ყველა საქართველოს მოქალაქეს მოვუწოდებ არჩევნებში მონაწილეობისკენ...

არაკაცთა ბუნების კანონი!..

3

ლევან ნიკოლეიშვილი:

ვირუსული ტერორის მომწყობები დაისაჯონ!

3

რა გაუხდათ სააკაშვილის გაბაწვრა და აქ ჩამოთრევა?

4

არავითარი მსოფლიო საზოგადოება არ მაინტერესებს, როცა საუბარია სამშობლოს ღალატზე!

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი KIU იწყებს!..

გახსნის საზეიმო ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოებასა და სტუდენტებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ასევე, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტმა, პროფესორმა ვოლფგანგ ჰერმანმა და უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე თევზაძემ.

გუშინვე უნივერსიტეტის გახსნისას ფიცი დადო რამდენიმე პირველკურსელმა.

ღონისძიებას მთავრობისა და პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (KIU) წელს პირველი სტუდენტები მიიღო ბაკალავრიატის სამ ინგლისურენოვან პროგრამაზე: მენეჯმენტი, მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, KIU-ში სტუდენტების მიღების კრიტერიუმები დღეს საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და შესაბამისობაშია მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის მოთხოვნებთან. STEM-ის მიმართულების პროგრამების მიხედვით KIU სამ ყველაზე მაღალი ბარიერის მქონე უნივერსიტეტებს შორის სახელდება საქართველოში. წელს 1 112 აბიტურიენტმა გამოხატა სურვილი, გამხდარიყო KIU-ს სტუდენტი, უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მაღალი ბარიერი კი 245-მა ახალგაზრდამ გადალახა.

რეიტინგის მიხედვით, ყველაზე პოპულარულია KIU-ს კომპიუტერული მეცნიერების პროგრამა. ამ პროგრამაზე წელს ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა. შემდეგ ადგილზეა მენეჯმენტი და ბოლოს მათემატიკა. მათემატიკის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა 35 პროცენტი გოგონაა. უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ქალების ჩართულობის გაზრდაა.

„უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა 90 პროცენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე KIU შემოხაზა პირველ არჩევნად, ხოლო სტუდენტთა 78 პროცენტმა შეძლო სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება.

სტუდენტთა რეიტინგის პირველ ასეულში არიან გამორჩეული და მაღალქულიანი ახალგაზრდები: ხულოდან, ცაგერიდან, ჭიათურიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, საჩხერიდან და სხვა რეგიონებიდან. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნული კონკურსისა და ოლიმპიადის გამარჯვებული ახალგაზრდები. მათ შორისაა მათემატიკური და ალგორითმული კონკურსის (M ვექტორის) თხუთმეტი ფინალისტი და ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ორი წარმატებული გამომგონებელი“...

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU) მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის საცხოვრებლებს, აკადემიურ შენობებს, ბიბლიოთეკას, კაფეებს, შიდა და გარე სარეკრეაციო სივრცეებს, ელექტროტრანსპორტს, ველობილიკებს. უნივერსიტეტი პირველ ნაკადს მიიღებს სამ სპეციალობაზე — მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები და მენეჯმენტი, სამომავლოდ კი სპეციალობათა რაოდენობა გაიზრდება.

ამასთან, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი იულიხის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას შეუერთდა. სტუდენტებს იულიხის კვლევით ცენტრში გარკვეული პროექტების შესრულების შესაძლებლობა აქვთ.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტთა გარკვეულ კატეგორიებს სწავლის საფასურსაც დაუფარავს. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური გრანტების ფონდი.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დასაარსებლად ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა მილიარდი ევროს ქველმოქმედება განახორციელეს.

სალომე ზურაბიშვილი: მჯერა, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი იქნება ადგილი, სადაც აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები ერთად ისწავლიან, რაც ამ ორ ერს შორის დიდი შერიგების საწინდარი იქნება

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნა ისეთივე მოვლენაა, როგორც 1918 წელს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, „მაშინ დაიბადა დამოუკიდებელი საქართველო. დღეს და აქ იბადება ახალი საქართველო“, — სალომე ზურაბიშვილმა გუშინ, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალზე განაცხადა.

— მჯერა, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი იქნება ადგილი, სადაც აზერბაიჯანელი და სომეხი სტუდენტები ერთად ისწავლიან და ეს ამ ორ, ჩვენთვის ძვირფას ერს შორის დიდი შერიგების საწინდარი იქნება, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას ბრძანა. მისივე შეფასებით, კეთილმეზობლობა კავკასიის რეგიონის ბედისწერაა, რასაც წინ ვერაფერი დაუდგება. ამასთან, პრეზიდენტის განცხადებით, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოს გაწვდილი ხელია აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

ქუთაისი, სწორედ თავისი საზოგადოებით, წარსულით, ქალაქური კულტურით, გახსნილობით, სითბოთი და განუმეორებელი იუმორით იქნება ადგილი, სადაც დაიწყება ახალი, მშვიდობიანი კავკასიის ისტორია. დღეს აქ იბადება მშვიდობიანი, განათლებული და კულტურული საქართველო და კავკასია, რომელსაც შესწევს უნარი, გლობალურ მსოფლიოში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს“ (სალომე ზურაბიშვილი).

გიორგი გახარია: ეს არის ქველმოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დიდი აქტი!

ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ფუნდამენტური განათლებაა ყველაზე კარგი საფუძველი, რათა ჩვენ ამ გამოწვევებისგან სწორი გამოსავალი ვიპოვოთ. ასევე, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ გლობალური კონკურენციაც იქნება აბსოლუტურად სხვანაირი. ეს არ იქნება ჩვენი თაობის სტუდენტობა, ეს არ იქნება ჩვენი თაობის მეცნიერება, ეს იქნება სულ სხვა ხარისხის გამოწვევები და რა თქმა უნდა, თქვენ ამისთვის მზად უნდა იყოთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ქუთაისში საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალზე განაცხადა.

გახარია მიესალმა სტუდენტებს და აღნიშნა, რომ ეს დღე მათ ცხოვრებაში არაორდინარულია, რადგან მათ სტუდენტური ცხოვრების პირბადეებით დაწყება უწევთ. მისივე თქმით, მსგავსი რამ ყველასთვის რთული წარმოსადგენი იყო, თუმცა, ეს არის რეალობა, რომელსაც ჩვენ ყველანი უნდა შევეგუოთ.

— პანდემიაც გაივლის, მაგრამ დარჩება ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და თქვენი პასუხისმგებლობა, რომ ეს ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანოთ. ეს თქვენი გასაკეთებელი იქნება, ბატონებო, რამეთუ ყველას კარგად გვესმის, რამხელა მნიშვნელობა აქვს გამართულ, სრულფასოვან განათლების სისტემას, რათა საქართველომ გადადგას განვითარების შემდგომი მძლავრი ნაბიჯი. ამ საკითხში ფუნდამენტურ მეცნიერებებს, განათლებას აქვს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა. ამასთან ერთად, მინდა შევუერთდე ქალბატონ პრეზიდენტს და უღრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილსა და ფონდ „ქართუს“ და ჩემი მოკრძალებული აზრი გამოვთქვა, რომ ეს არის ქველმოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დიდი აქტი, რომელიც ამ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში მომხდარა...

მიხეილ ჩხენკელი: ამ რანგისა და მასშტაბის უნივერსიტეტი საქართველოში ვერ იარსებებდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის ქველმოქმედება!



— დღეს ჭეშმარიტად ისტორიული დღეა და მინდა, პირველ რიგში, ეს დღე სტუდენტებს მივულოცო. დღეს დილით ძალიან ემოციური მომენტი იყო, როდესაც პირველკურსელებმა უნივერსიტეტის ფიცი დადეს. მინდა, მივულოცო მთელ საქართველოს ასეთი ბრწყინვალე უნივერსიტეტის გახსნის დღე. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის მსოფლიო სტანდარტის მქონე ჭეშმარიტად ევროპული უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტის იდეისა და მისი განვითარების კონცეფციის ავტორია ბიძინა ივანიშვილი. ამ რანგისა და მასშტაბის უნივერსიტეტი საქართველოში ვერ იარსებებდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის უაღრესად მნიშვნელოვანი ქველმოქმედება, რომელიც 1 მილიარდ ევროს შეადგენს. ეს ბრწყინვალე საჩუქარია ჩვენი ახალგაზრდებისთვის, სტუდენტებისთვის, საქართველოს აკადემიური სივრცისა და მთელი ქვეყნისთვის. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი უნიკალურია და მინდა გამოვყო რამდენიმე მთავარი მიმართულება. მისი აკადემიური პროგრამები დაფუძნებულია მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები აქ ისწავლიან ზუსტად იმ პროგრამით, რომლითაც მათი თანატოლები მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში სწავლობენ. ეს არის გარანტია იმისა, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანები მსოფლიო ასპარეზზე. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის ფილოსოფია დამყარებულია სწორედ ამ მიდგომაზე. მომდევნო წლებში გაჩნდება ახალი აკადემიური პროგრამები და თითოეული პროგრამა დაფუძნებული იქნება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების აკადემიურ პროგრამებზე...

ალექსანდრე თევზაძე: ამ უნივერსიტეტში სტუდენტები საერთაშორისო დონის განათლებას მიიღებენ

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში მივიღეთ ჯამში 246 წარჩინებული სტუდენტი. მათი შედეგი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესოა, — ამის შესახებ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე თევზაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და სტუდენტებს ლექციებს უცხოელი ლექტორებიც ჩაუტარებენ. **„ესაა უნიკალური შესაძლებლობა, რომ სტუდენტებმა მიიღონ საერთაშორისო დონის განათლება. ჩვენ ვწერთ ამ უნივერსიტეტის აკადემიურ ისტორიას. ჩვენი სტუდენტების 80%-მა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი. ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა კომპიუტერული მეცნიერების პროგრამა, შემდეგ კი მენეჯმენტი. ამ დროისთვის სწავლება დისტანციურად ხორციელდება და ველოდებით სააუდიტორიო ნაწილის დაწყებას“...**

ლევან ნიკოლეიშვილი:

ვირუსული ტერორის მომწყობები დაისაჯონ!

„საშინელება, რაც რამდენიმე დღის წინ ბათუმში ვიხილეთ — თუ როგორ შეკრიბა მავნებელმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ადამიანები, ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე და რეალურად ბიძგი მისცა ვირუსის გავრცელებას აჭარაში და საქართველოში. მაშინ ყველა ჭკუათამყოფელმა ადამიანმა თუ მოქალაქემ დაგმო ეს უმსგავსობა, მაგრამ ამას დაგმობა ნამდვილად არ შველის. კატომოძულე და მავნებელთა კლასტერის ეს ქმედება შესაბამისად უნდა შეფასდეს. არ შეიძლება ვიღაცის პოლიტიკური ხუშტურებისა და ტუტუცობების გამო ასე გაწირო შენივე მოქალაქეები, იმ დროს როცა, ვირუსის გავრცელების ყოველდღიური სტატისტიკა ძალიან მკაცრ გაფრთხილებას გვაძლევს და ვინ არის პასუხისმგებელი ვირუსის გავრცელებაზე? რას ნიშნავს მასობრივად შეკრიბო ხალხი, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე? „ნაციონალებმა“ სპეციალურად და შეგნებულად ხომ არ გააკეთეს ეს ყოველივე ბათუმში? რა, არ იყვნენ გულდაწყვეტილები ცოტა მსხვერპლის გამო? მიზანშეწონილად მიმაჩნია და დამერწმუნეთ ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდი უმრავლესობაც ასე ფიქრობს, რომ კანონის ფარგლებში უმკაცრესად უნდა დაისაჯონ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, რომლებმაც ფაქტობრივად ვირუსული ტერორი მოუწყვეს ჯერ თავის მხარდამჭერებს და მერე სრულიად საქართველოს. დამნაშავეებმა უმკაცრესად უნდა აგონ პასუხი ამ ტერორზე. ეს უნდა გახდეს მაგალითი იმისა, რომ სხვამ აღარასოდეს არ გაბედოს, მსგავსი ვირუს-ტერორი მოუწყოს საკუთარ ხალხს“, — წერს ანალიტიკოსი ლევან ნიკოლეიშვილი.

ზაზა პაპუაშვილი:

„ქართული ოცნების“ ჩანაფიქრის შესრულება შეფერხდა, მაგრამ ამის გამო არ უნდა ჩავუსაფრდეთ“

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილების ვადა 31 ოქტომბერს ეწურება. ოთხი წლის წინ, 2016 წელს წინა საპარლამენტო არჩევნების დროს, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მოსახლეობას სოციალური კეთილდღეობას და სწრაფ განვითარებას დაპირდა. თუმცა, მმართველობიდან ოთხი წლის შემდეგ მოსახლეობა შიმშილობის ზღვარზეა, საქართველოში ფასების საერთო დონე კი რეკორდულად იზრდება.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, ამ დროის განმავლობაში რა გააკეთეს მმართველი პარტიის დეპუტატებმა მთავარი დანაპირების — „კეთილდღეობის და სწრაფი განვითარების“ შესასრულებლად, რის გამოც ოთხი წლის წინ ამომრჩევლებს ხმას სთხოვდნენ. როგორ აფასებენ საკუთარ სიტყვას და საქმეს დეპუტატების სავარძლებიდან და რას ეუბნებიან ამომრჩევლებს.

„კომერსანტი“ აგრძელებს სტატიების ციკლს, სახელწოდებით — რა წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის კეთილდღეობასა და სწრაფ განვითარებაში თითოეულმა დეპუტატმა ამ ოთხი წლის განმავლობაში. ამჯერად „ქართული ოცნების“ პარტიიდან გასულ დეპუტატს ზაზა პაპუაშვილს დავუკავშირდით.

ზაზა პაპუაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება და მიუხედავად იმისა რომ „ქართულმა ოცნებამ“ წლების წინ ბევრი კარგი რამ ჩაიფიქრა, სხვადასხვა მიზეზების გამო ეს გეგმები ცოტათი შეფერხდა და ტემპი დავარდა.

„სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული, რამდენი რამ შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს გარშემო თუნდაც ვალუტასთან დაკავშირებით და ეპიდემიასთან მიმართებაში. პარტიის დაპირებების შემთხვევაშიც ასეა, შეიძლება რაღაც ჩაიფიქრო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს გეგმები ცოტა შეფერხდეს და ტემპი დავარდეს. დღეს ამ რეალობიდან გამომდინარე უნდა გამოვიდეთ, მთავრობას ან საკუთარ ქვეყანას კი არ უნდა ჩავუსაფრდეთ და ნიში კი არ უნდა მოვუგოთ. კეთილდღეობა და განვითარება რომ გვინდა, კარგია, მაგრამ ეს არის ურთულესი გზა, მით უმეტეს ჩვენს რეგიონში და არსებულ სიტუაციაში.

რეგიონში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის შიდა გამოწვევები, ეს ერთობლივად ქმნის არცთუ ისე სახარბიელო სურათს, სადაც ბევრი კარგი ქმედება შეიძლება შეყოვნდეს, მაგრამ აქ არ არის საუბარი კურსის შეცვლაზე, ბევრი კარგი რამე კეთდება, მომავალშიც გაკეთდება და დავიმახსოვროთ, რომ ცოტა რეალობა დავინახოთ. ზოგიერთი ადამიანი ისე საუბრობს ამ პანდემიაზე, რომ თითქოს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია.

რაც შეეხება კანონპროექტებს, რამდენიმე მათგანს გამოვარჩევდი, რომელიც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ერთია კონსტიტუცია, შემდეგ კანონი პატიმრებთან დაკავშირებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და კიდევ სხვა ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა. იქ არის ასევე დირექტივები, ნატოსთან დაკავშირებული თემები, პარლამენტში მთელი ამ კანონების გადმოლაგება იყო საჭირო, რომ ქვეყანა მომზადებულიყო საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადასასვლელად. თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი“, — აცხადებს პაპუაშვილი.

არაკაცთა ბუნების კანონი!..

თეთრი და შავი აბანოში გამოჩნდება

ცხონებულმა ლევან სანიკიძემ ფრიად გახმაურებული „უქარქაშო ხმლების“ ავტორმა, სიცოცხლის ბოლოს კიდევ ერთი ჭკუის სასწავლებელი წიგნი დაგვიტოვა — საუკუნეთა სიგრძეზე ცუდ ქართველთა ჩადენილი უამრავი უგვანო საქციელი აღწერა: ღალატი, მზაკვრობა, ფლიდობა, შური, ღვარძლი, არაკაცობა, ცლაგვა, ანუ ერთ სიტყვაზე დაუდგრომლობა, ზურგში დანის ჩაცემა, ათასგვარი ჩათლახობა და მამაძაღლობა და ყოველივე ანგარების მიზნით, ვერცხლისმოყვარეობის გულისთვის.

ამ არაკაცის მამა ჩემი მეგობარი იყო, ხან მიკვირს როგორ შეიძლება, რომ ეს ორფეხა, ორთვალა და ცალტვინა ძოსმენი, სულ ერთიანად სირცხვილზე აგებული არსება იმ ლევან სანიკიძის შვილი იყვეს, რომელიც საქართველოს სიყვარულით სუნთქავდა, ნაღდი მამულიშვილობის მძაღადგებელი იყო და ამ თავის ძესაც ერთ-ერთი კარგი ვაჟკაცი კოლხი მეფის სახელი დაარქვა იმ იმედით, რომ სამშობლოს უანგარო სიყვარულში მამის უცილობელი მემკვიდრე იძნებოდა.

მაგრამ ვაი, რომ ყოველივე პირიქით მოხდა. ამ ისტორიულ სახელდარქმეულმა შვილმა მამის მიერ აღწერილ ერთადაღებულ ყველა სირცხვილს გადააჭარბა, და თანაც როგორ!

აი, ეს აზრი გამოჩნდა იმ სამშაბათ საღამოს, როცა ჩემდა უნებურად ენაგატრაწიანებულ აქუს „კავკასიაზე“ გადავრთე და რახან გუბაზა და აქუ მყრალ-მყრალად ეპირტრაწებოდნენ ერთმანეთს, ცნობისმოყვარეობის გამო მცირე ხანს ვუსმინე, მცირე ხანს, ვინაიდან თქვენმა და ჩემმა მტერმა უსმინა და,მით უმეტეს, უყურა ამ ორ აღვირახსნილ ორფეხა სირცხვილს, რომელთაც ადამიანური არაფერი არ შერჩენიათ და მხოლოდ სიძულვილის ფქვის წისქვილებად არიან ქცეული.

ზუსტად ასე იყო იმ სამშაბათ საღამოსაც და მეორე, ოთხშაბათ დილითაც, როცა „კავკასიამ“ წინა საღამოს გადაცემა გაიმეორა. საერთოდ, რა არხია „კავკასია“, რა დანიშნულება აქვს ამ „ოცნების“ მოძულე ცოლ-ქმრის ტელეარხს, რომელიც საგანგებოდ აგროვებს ბიძინა ივანიშვილის მაგინებელ ხალხს და საქმეგამოლეული მთელი დღე და ღამე გლახა ჭრიალაშვილივით ათასგვარ ტყუილსა და სიბინძურეს ღერღავს. ამ მხრივ თავისი ფალავნებიც ჰყვანან. ხან ვალერი გელბახიანი და ხანაც ეს გუბაზა სანიკიძე, გვარისა და ოჯახის შემარცხვენელი, რომელსაც მთელი წინა პარლამენტი ძილქუში აწვა და ძილში, აბა, მილიონს როგორ იშოვიდა?! ჰოდა, გაბრაზებულმა, **ივანიშვილმა რატომ კარგა გვარიანი სტიპენდია არ დამინიშნაო, ადგა და ახლა პირმოხეულ ლანძღვაზე გადავიდა**. როცა ვაქე და ვაქე, არაფერი არ გამომივიდა, იძულებული ვარ, რომ ამჯერად გონების ტომარას მოვხსნა პირიო და მოხსნა, ამოუშვა ნაირ-ნაირი სიმყრალე და სიბინძურე, მე შენ გეტყვი, გაღიპული გვამი არ აძლევს ამის საშუალებას!..

შენაო, ბიძინაო, ივანიშვილოო, ქართველ ხალხს ეჯავრებიო, ქართველები ვეღარ გიტანენო, რაშიც 31 ოქტომბერს დარწმუნდებიო. შენაო ცრუპენტელა და მატყუარა ხარო, ეგრეა, ეგრეაო, კვერს უკრავდა ზლაზვნა-ზლაზვნით, ნახევრად წამოწექებული აქუ, რომელსაც ნამდვილად აქვს საბაბი, რომ სააკაშვილს მადლიერების ნიშნად ერთ შავ ხვრელში თავ-ფეხიანად უძვრებოდეს: 2007 წელს ამ ეგრეთ წოდებულმა ვაი-პრეზიდენტმა თითქმის ოცდაათზე მეტი რედაქცია გამომცემლობა „სამშობლოდან“ რომ გამოგვყარა, მხოლოდ აქუს „კავკასიას“ (რატომ მოუგონა აქუმ თავის წყალწყალა არხს ეს სახელი, კაცმა არ იცის!) უქირავა ახალი ბინა, სხვა საზღაურს რომ თავი დავანებოთ, სიკეთეს კი, თუნდაც ბოროტი კაცისგან გამოჩენილს, დანახვა უნდა!

ერთი სიტყვით, კარგი მამის ძალიან, ძალიან, ძალიან ცუდო და უვარგისო შვილო, საქართველოს ნამდვილო ბოღვერა სირცხვილო, გასარკვევი სულ არ არის ქართველ ხალხს ვინ სძულს და ვინ უყვარს, რაც აშკარად გამოჩნდება 31 ოქტომბერს. შენი აშკარა არაკაცობის გადამკიდე ამომრჩეველი უთუოდ სიძულვილთა წრეში მოგაქცევს. მერე ვინძლო ისევ დაჯდე აქუს მძულვარების მფრქვეველ სტუდიაში და იმასთან ერთად არკვიო, რატომ გადაგაგდო სანეხვეზე შენმა ნაფერებმა ამომრჩეველმა.

შენ რამდენიც არ უნდა თხარო შენი ჭეშმარიტების საძებნელად, ყოველთვის ბოროტების ფესვს მიადგები.

ასეთია არაკაცთა ბუნების კანონი.

გურამ წიკლაური

გიგა ბოკერია გუბაზას ეთნიკური შუღლის გაღვივებაში აღანაშაულებს!

გიგა ბოკერია ძალიან მძიმე დღეშია და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ასე პასუხობს „2020**NEWS**“-თან საუბრისას „ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშიას“ წევრი გუბაზ სანიკიძე „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას, რომელმაც სანიკიძე ეთნიკური შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულა. მისივე თქმით, „ევროპული საქართველოს“ ხობის, ფოთისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატი გიგა ბოკერია ერთადერთ გრძნობას იმსახურებს და ეს თანაგრძნობაა.

„გიგა ბოკერიას სულელურ განცხადებებზე კომენტარს არ ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ თქვენ გეტყვით, რომ ის ძალიან მძიმე დღეშია და ყველაფერია მისგან მოსალოდნელი. ერთადერთი გრძნობა მეუფლება, როდესაც მას ვუყურებ და ეს თანაგრძნობაა“, — ამბობს სანიკიძე.

შეგახსენებთ, რომ „ევროპული საქართველოს“ ხობის, ფოთისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატმა გიგა ბოკერიამ ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშიას“ სიის მე-16 ნომერს გუბაზ სანიკიძეს ბრალი ეთნიკური შუღლის გაღვივებაში დასდო და თქვა, რომ ის არის მაგალითი იმისა, თუ როგორ დაემსგავსა საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს.

ხატია მამულია

№ 139-140. ხუთშაბათი-პარასკევი, 22-23 ოქტომბერი, 2020 წელი.

საზოგადოებრივმა მოძრაობამ „დავასრულოთ“ „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის მიზნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ორგანიზაციის წევრების თქმით, „ნაცმოძრაობის“ აკრძალვას 10 000 ხმა სჭირდება.

საუბარია იმაზე, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიის მუშაობის პროცესში საქართველოს წარმომადგენელთა მხრიდან ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა მოხდა, რაც მმართველი პარტიის მითითებით განხორციელდა. ამდენად, არ შეიძლება პოლიტიკურ ველზე იყოს ის ძალა, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს.

პეტიციის ავტორთა თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანიცაა კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ომის ან ძალადობის პროპაგანდა, ახალგაზრდების გენოციდი და ა.შ.

კონსტიტუციურად რამდენად მიღწევადია საქართველოს მოსახლეობის სოლიდური ნაწილის სურვილი „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის შესახებ?

ДАВИТ ЗАРДИАШВИЛИ:

რა გაუხდათ სააკაშვილის გაბაწვრა და აქ ჩამოთრევა?

არავითარი მსოფლიო საზოგადოება არ მაინტერესებს, როცა საუბარია სამშობლოს ღალატზე!

სააკაშვილი უნდა დაიჭირონ, დასაჯონ და ნაცები თავისთავად დაიფანტებიან, როგორც ყიზილბაშების ბანდა. ყიზილბაშები ხომ იყვნენ წითელ-თავიანები, ნაციონალები კი არიან წითელი ხუთიანები.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ უმჯობესია, ამ შემთხვევაში, საუბარი იყოს „ნაცმოძრაობის“ პარტიის კონკრეტულ წევრებზე, რომლებსაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, რადგან იურიდიულად ძალიან რთული დასადასტურებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოში, რომ ეს პოლიტიკური პარტია მიმართული იყო, ჩაედინა სახელმწიფო ღალატი, ტერიტორიები გაესხვისებინა და ა.შ.

„შეიძლება, ეს ორგანიზებული ჯგუფი კი იყო, მაგრამ დანაშაულები პარტიის სახელით კი არ კეთდებოდა, არამედ დანაშაული ჩადენილი იყო იმ ორგანიზებული ჯგუფის ხელით, რომელსაც უზურპირებული ჰქონდა სახელმწიფო ძალაუფლება. „ნაცმოძრაობის“ პარტიის რიგით წევრებზე ამას ვერ ვიტყვით. პარტიის აკრძალვა მაშინ შეიძლება, თუ მათ წესდებაში უწერიათ მსგავსი აგრესიული მიზანი. ასე რომ, რთულია იმის დამტკიცება, რომ „ნაცმოძრაობა“, როგორც პარტია, მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიების გასხვისებას. ეს წესდებაში არ უწერიათ ნაცებს. 20 ივნისს რაც გაკეთდა, ეს იმ აქციის მონაწილე კონკრეტული ადამიანების მიზანი იყო და არა მთლიანად „ნაცმოძრაობის“, როგორც პარტიის მიზანი. ნიკა მელია პარტიის სახელით კი არ მოუწოდებდა ხალხს პარლამენტში შეჭრისკენ, არამედ ორგანიზებული ჯგუფის სახელით. ცხადია, ეს დანაშაულია, ეს იყო სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობა, ამბოხი. სისხლის სამართალში ასეთ ქმედებებს ჰქვია ამბოხი“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მისივე თქმით, ეს საქმეც გამოსაკვლევი და ბოლომდე მისაყვანია, „ოცნება“ იწყებს ამ საქმეებს და მერე აღარ ამთავრებს. ასე რომ არ იყოს და „ოცნებას“ უფრო მეტი პრინციპულობა გამოეჩინა, სააკაშვილი დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა. სამართლებრივი პასუხი უნდა გაეცეს სააკაშვილისა და მისი ხროვის მოქმედებას.

„რა გახდა ასეთი, რომ სააკაშვილი მიუწვდომელია საქართველოს სამართლისთვის, ამას არ სჭირდება დიდი ამბავი, ამას პოლიტიკური ნება უნდა და, თუ საჭიროა, მერე სპეცოპერაცია უნდა დაიგეგმოს. მე ახალგაზრდა არ ვარ, თანაც არაპროფესიონალი ვარ ამ საქმეში, მაგრამ, თუ საქმე საქმეზე მიდგა, მეც მივიღებ მონაწილეობას ასეთ სპეცოპერაციაში. რა გაუხდათ მისი გაბაწვრა და აქ ჩამოთრევა. არავითარი მსოფლიო საზოგადოების აზრი არ მაინტერესებს ამ შემთხვევაში, როცა საუბარია სამშობლოს ღალატზე“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მისი შეფასებით, ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც ღირსება და საკუთარი თავის პატივისცემა აქვს, ამას არ გაატარებს. საუბარია ადამიანზე, რომელმაც აგვისტოს სამხედრო-პოლიტიკური კრახი გამოიწვია, რომლის მსგავსიც ისტორიაში იშვიათია, ეს დაახლოებით არის ის, რაც ერეკლე მეფეს დაემართა აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაეცა. ახლა სხვა ისტორიული პერიოდია და საქართველოს სახელმწიფოებრიობა გადარჩა, დაცულ იქნა, მაგრამ ტერიტორიების 20% წაიღო მტერმა. თანაც, მტერი შემოვიდა და ფეხი დაადგა ისეთ ადგილებში, სადაც ისტორიულად არასდროს არ ყოფილა. კოდორზეა ლაპარაკი და ქსნის ხეობაზე, ლიახვის ხეობაზე. **იქ მტერი ვერასდროს ვერ შედიოდა. ძველად ომები რომ ხდებოდა, ქართველები სწორედ ასეთ ადგილებში აფარებდნენ თავს. რვა წელიწადია, ამის ჩამდენი პასუხს არ აგებს და სამართალი მას პასუხს ვერ სთხოვს. ეს კი, დავით ზარდიაშვილის აზრით, ნიჰილიზმს განაპირობებს.** ამიტომ, მისი მოსაზრებით, ამ საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოც არ სჭირდება, უბრალოდ, სააკაშვილი უნდა დაიჭირონ, დასაჯონ და ნაცები თავისთავად დაიფანტებიან, როგორც ყიზილბაშების ბანდა. ყიზილბაშები ხომ იყვნენ წითელთავიანები, ნაციონალები კი არიან წითელი ხუთიანები.

„ესენი არიან ერთი მთავარი ავაზაკის გარშემო შემოკრებილი ხროვა. რომელი ტელევიზია გინახავთ დედამიწის ზურგზე, რასაც აკეთებს „მთავარი არხი“, როცა ლამის ყოველდღიურად საქართველოს არამოძალაძე სააკაშვილი უზით ეთერში. არადა, მას კანონით ეკრძალება საქართველოს პოლიტიკაში ჩარევა ნებისმიერი ფორმით, შიდა პოლიტიკაში მისი მონაწილეობა კანონით აკრძალულია. რატომღაც უნდათ, წარმოაჩინონ, რომ ქართულ პოლიტიკაში მთავარი აქტორი ისევ ეგ არის, ამის გამო ნებისმიერი ქვეყნის ტელევიზიას გათიშავდნენ. რომელ გამოხატვის თავისუფლებაზეა საუბარი, როცა დანაშაული პერმანენტულად ხდება, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ორგანიზებულად სვამენ ქართულ პოლიტიკაში, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და დასჯადია ეს ქმედება“.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალების მიერ ჩადენილი შეცდომები, გადაცდომები და დანაშაულები ძალიან სერიოზულია, ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** ამ პარტიის აკრძალვის წინაპირობას ვერ ხედავს. იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ყველა ის ფაქტი სათანადოდ და სამართლებრივად შეფასდეს, რაც ნაცებმა ჩაიდინეს. ამის შემდეგ მხოლოდ ხალხს აქვს უფლება, თავისი დამოკიდებულებით არჩევნებზე გამოუტანოს ამა თუ იმ პარტიას განაჩენი.

„ყველა მონაცემის მიხედვით, „ნაცმოძრაობას“ 13-დან 20%-მდე მხარდაჭერა აქვს, თუნდაც გამოვაკლოთ „ევროპული საქართველო“, რომლებიც პირშებრუნებული ნაციონალები არიან და გამოვაკლოთ ზოგიერთი პარტია, რომელსაც ავტორიტეტული ლიდერი ჰყავს, დავუშვათ, ნათელაშვილი, ბურჯანაძე, მიუხედავად ამისა, მაინც „ნაცმოძრაობაა“ იმ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი. ეს არის მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი, რომელიც, ჩემი თვალთახედვით, 13-დან 20%-მდეა. თუ ეს არ არის ნაციონალ-სოციალისტურ-ფაშისტური პარტია, როგორც გერმანიაში იყო, ისე მოსახლეობის 13-20%-ს ვერ ავუკრძალავთ, ჰქონდეს სიმპათია კონკრეტული პარტიისა და ლიდერის მიმართ. ამავე დროს, ვინც იმ პერიოდში კრიმინალის განმაპირობებელი ლიდერები იყვნენ, დაახლოებით, ალბათ, 30 პოლიტიკოსი, ისინი უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან. ბაქრაძე, ბოკერია ნიჭიერი ადამიანები არიან, ისინი ამბობენ, ჩვენ დავუშვით შეცდომები, ამას ვაღიარებთო. ბატონებო, თუ თქვენ მიდიხართ ევროპული ტიპის დემოკრატიისკენ, ევროპულ დემოკრატიაში პოლიტიკოსის მიერ დაშვებული შეცდომის აღიარების უპირველესი და შეიძლება ერთადერთი ნაბიჯი პოლიტიკიდან წასვლაა. ამიტომ მიბრძანდით პოლიტიკიდან და მოვიდეს ახალი თაობა. თუ ხალხი მათ მხარს დაუჭერს, შეიძლება ისინი ვიხილოთ ხელისუფლებაში, მაგრამ ხელისუფლების სათავეში უნდა იყოს არა მიხეილ სააკაშვილი, ან რომელიმე მისი ერთგული ეპიგონი, არამედ, თუნდაც ახალგაზრდები, რომლებსაც იმ პერიოდში პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ დანაშაულზე“, — აცხადებს ვაჟა ბერიძე.

ანალიტიკოსის განმარტებით, ვინც 28 ათასი ფაილი შექმნა, ვინც პენიტენციური სისტემა ჯოჯოხეთად აქცია, მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. ჩვენ სულ ოთხმილიონიანი ქვეყანა ვართ, რაც არ უნდა ნიჭიერი ერი ვიყოთ, 4-მილიონიან ერს აქვს ინტელექტუალური, მმართველობითი, პოლიტიკური შეზღუდული პოტენციალი. ამიტომ მას არ შეუძლია, ძალიან ბევრი ლიდერის წარმოშობა.

მანანა ნოზაძე

№ 139-140. ხუთშაბათი-პარასკევი, 22-23 ოქტომბერი, 2020 წელი.

ილია ჭავჭავაძის მიმართვა თბილისელებს (1897 წ.)



დიდი ცოდვა–მადლი თანა სdევს არჩევანსა და ვიdრე ხელი კენჭის ჩასაგdებად დაიძროdეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინdისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამdენჯერმე დაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიdისა და პატარისა.

ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღე იმისი თუ, — ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილdღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხdით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე dაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოdეს, საქმე ჩვენdა საკეთილოd კეთdებოdეს და კეთილი dღეdადღე ემატებოdეს ჩვენს მშობელ ქალაქსა.

ყველამ ერთად, რომ პატრონობა და მოვლა მოვინdომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოdა და dაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი, ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანdეთ ეგ პატრონობა და მოვლაო.

იცოdეთ, dიdი ცოdვა-მაdლი თანა სdევს არჩევანსა და ვიdრე ხელი კენჭის ჩასაგdებაd dაიძროdეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინdისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამdენჯერმე dაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად dიdისა და პატარისა.

იცოdეთ, თქვენ გინdათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშemატკივრობა სულელობაd არ მიაჩნია, რომელსაც უნdა ებრალებოdეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი dა თქვენი ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯაd თქვენს მიერ გაცemულს, თქვენს კეთილაd ცხოვრებას, თქვენს მშვიdობით dა უშიშრაd ყოფნას ახmარებdეს, რამოdენაdაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინdათ კაცი, რომ მdიdარს განგებ არ აკლებdეს ქალაქის ხარჯსა dა ხmაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უmატებdეს, dა რაც მdიdარს dააკლებს, ღარიბს არ ახdევინოს.

თქვენ გინdათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა dა ტყლაპოებისაგან არა ჰყარdეს dა მარტო მdიdართა ქუჩები არა ჭლაპლაპებdეს სიფაქიზითა.

თქვენ გინdათ კაცი, რომ ხორაგი, საჭmელ-სასmელი, ქალაქის ბაზარში კარგი dა საღი იყოს dა თქვენ არ გახdენdნენ, არ გაფუჭებdნენ dა ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინdათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭmელ-სასmელს ჩარჩები თუ სხვა ვინmე განგებ mამასისხლად არ ჰხdიdნენ dა ამით თქვენ dა თქვენს ცოლშვილს არ უdვირებdნენ საჭირო საზრdოს dა საკვებსა.

თქვენ გინdათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა dა კალთას არ აფარებdნენ, როცა იგინი არ ვარგანან dა ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯamაგირების სახითა.

თქვენ გინdათ კაცი, რომ ბუნებითაd კეთილი ჰაერი თქვენის dედაქალაქისა არ იშხamებოdეს უწmინdურების სიmყრალითა dა არა გშხamვიdეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინdათ კაცი, რომ წყალი უვნებელი dა მოუწყვეტელი გქონdეთ dა ამასთანაც, რაც შეიdლება იაფი.

თქვენ გინdათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასmელს ბაზარში ჰყიdულობთ, დახათრიჯamებული იყვნეთ, რომ წamხdარს dა მოწamლულს არ შemოგაპარებენ.

თქვენ გინdათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა dა სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა dა მოსაზრებასა, რამdენაdაც შესაძლოა.

თქვენ გინdათ კაცი, რომ თითქmის ორ mილიონamdე ყოველწლივ შemოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯაd აღებული, თქვენვე dა თქვენს ქალაქს საერთოd ჰხmარdებოdეს გamოზოგვითა dა ცოdნითა dა არა აქეთ-იქით იფანტებოdეს გულdაუdებლობით dა უთაdარიგობითა.

ვისაც ხელი mიგიწვdებაd, ყველანი უნdა mიხვიdეთ არჩევანზე dა თქვენი mოქალაქური, კაცაdკაცური mოვალეობა გაdაუხაdოთ თქვენს mშობელ ქალაქსა.

იცოdეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხmოსნობას, იmას აბარებთ mთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა dა ბოროტსა. ოთხი წელიწაdი ბევრის რისამეა შemძლებელი, ავიც შეიdლება ბევრი mოგვაყენოს კარს dა კარგიც.

გულს ნუ გაიmრუdებთ, სულს ნუ წაიწყmედავთ! იცოdეთ, ეს dიdი საქmე თქვენს ნamუსს, თქვენს სინdიdისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღmერთი, dა ღვთისა dა mართლის სახელით, შეუdექით არჩევანის dიdს საქmეს dა mარჯვენას თქვენსას ის არ აქmნევინოთ, რასაც გული dა სინdიdისი არ გეუბნებაd.

ილია ჭავჭავაძე.

ისე არ აუdგეთ ამათ გვერdები!

mიუხედავაd იmისა, რომ ამ mიmართვის ავტორი გახლdათ ბუmბერაზი ილია, mაინც „dაიწუნეს“ dა არ აირჩიეს. ასევე, გააშავეს mეორე ბუmბერაზი აკაკი. რატომ? იmიტომ, რომ...

ვეებერთელა mamულიშვილების, ერის mamების პარალელურაd თუ, უფრო ხშირაd, საპირისპიროd ყველა „ეპოქას“, ყველა კუთხეს, ქალაქს, სოფელს, ქუჩას ჰყავdა, ჰყავს dა, სავარაუdოd, mუdამ ეყოლება არა mარტო საკუთარი პრეmიერ-mინისტრობის კანdიdატი, არamედ თავისი „ჭკუის dა გაქანების“ mსგავსი „შadიmანი“, განუmეორებელი რეფორmატორი, ალmაშენებლის ტოლი სტრატეგი, ჭყონdიdელზე შორსmჭვრეტელი „mოღვაწე“, თamარზე „ძლიერი dა გamოცdილი“ სავარაუdო mmართველი, გიორგი ბრწყინვალეზე mოქნილი, ოკუპანტისთვის „პანჩურის mთავაზებელი“, ერეკლე mეფეზე ჭკვიანი dა dაუღალავი mებრძოლი, ილიაზე ბრძენი, აკაკის ტოლი პატრიოტი dა რუსეთის mოძულე არაერთი „mიშიკო-გიგილო-გრიშიკო-ზალიკო, თაკოია-შალიკია-ტაკოია-კაკოია-ნატოია-ალეკო-ლაშიკო-ოთიკო-mურmანა-ბადრია-არmაზა შუბლაძეები, უგულავები, ბაქრაძეები, ვაშაძეები, ახვლედიანები, კახიძეები, mაჭუტაძეები...“ dა ამიტომაც ყოველთვის თუ არა, უფრო ხშირაd, ღირსეულთა სანაცვლოd, საზოგაdოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, ოლიmპზეც კი, mოdიოdა, mოdის dა, თუ ჭკუას არ mოვუხmეთ, კიdევ mოვა კოლექტიური „ლილიპუტა“... გუგავა!



ისე არ აუdგაd ამათ გვერdები!

ნუგზარ ფოფხაძე.

P. S. გვარ-სახელები dა თიკუნები პირობითია, mხოლოd dა mხოლოd!

◎ **გიჟი mიუზეი ნებასა...**

კორეული mაინც სხვაა!..



რაც უფრო ახლოვdება ისტორიული საპარლamენტო არჩევნები, mით უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს mიხეილ აყლაყუdას mიერ შეmოთავაზებულ რაციონალიზატორულ წინაdადებათა სიხშირე dა, რაც mთავარია, mრავალფეროვნება.

ხmამ გსmენიათ, სჯობს გვიან, ვიdრე არასdროსო dა საკუთარი ნებით გაეmიგრანტებული ეს ჩვენი ყოფილი თანაmემamულე 31 ოქტmომბრamdე რamdენიmე dღით adრე ხmის mისაცemamd, არც mეტი, არც ნაკლები, კორეული mოdელის გamოყენებას გვირჩევს (ეტყობა, აღნიშნული ნახევარკუნძულის სamხრეთ ნაწილს გულისხmობს, თორეm რას გავუგებთ mის mუdამ ერთ dროს სamშობლოზე mოფიქრალ გულისთქmას).

კეთილი dა პატიოსანი — კაცს სamართლიანობაზე აბოdებს dა რა უფლება გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ კანონისadmი mის mორჩილებაზე, mით უmეტეს, იm ქვეყანაში, სadაც სწორეd mან dანერგა იdეალური საარჩევნო გარეm, mაგრamd რა ვუყოთ პოპულარულ გamოთქmას: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო.

dალოცვილო, აქamdე sად იყავი, როცა უპრობლეmოd შეგვეdლო გamოცdილების mისაღებად ჩვენი ცესკოს წარmომadგენელთა mივლინება dა საამისოd არც საკარანტინე ვadის dარღვევა ეmუქრებოdათ dა აკლიmატიზაციასაც აუღელვებლაd გაუmკლავdებოdნენ?

ისე, ხუmრობა იქით იყოს dა, „ნიკალაევიჩისნაირი“ dიქტატორული ბუნების შლეგიან პიროვნებას რაღა სamხრეთ კორეა mოელანdა? — იქვე არაა კიm ჩენინის ტირანიის ქვეშ mგmინავი ჩრdილოეთ კორეა, სadაც ჩვენებურები ისეთ პრაქტიკას გაივლიdნენ, შეიdლებოdა 2003-2012 წლებში გadატანილი საარჩევნო „ბესპრedელი“ mონაგონი გamხdარიყო?

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს აზიელებს რamეს ვერჩოdეთ, mაგრამ საინტერესოა, რატომ უკეთებს ნაცფიურერი იგნორირებას სულ mთლაd ყურისdირში გadაჭimულ ბელარუსს, რomელსაც პროგრესული კაცობრიობა dიქტატურის უკანასკნელ ბასტიონს უწოdებს dა სadაც ორიოdე თვის წინათ ჩვენი ექს-ბელადის ფაშისტmა კოლეგამ ლუკაშენკომ არც ავტomატით „პაკაზუხობა“ ითაკილა dა არც ათასობით mეamბოხე-პროტესტანტის ციხეებში გamოკეტვა?

dაგვერწmუნეთ, იქ საარჩევნო admინისტრაციიdან dესანტის გadასხmა თანხებსაც dაგვიზოგავdა dა კოვიd-19-ის ვირუსის შemოტანის რისკიც ნაკლები იქნებოdა.

ნუ, არის სათadარიგო ვარიანტიც — გadავdოთ არჩევნები, ცესკოს რჩეულნი ამერიკის საპრეზიdენტო ორomტრიალზე ვაფრინოთ dა ოკეანის გაღmიdან ისეთ dატრეnინგებულებს dაველოdოთ, ამ ჩვენს შეურიგებელ ოპოზიციონერებს პრეტენზიების გamოთქmის საბაბი mოვუსპოთ. თუ პოლიტიკური ნება იქნება, 3 ნოეmბრamdე ყველაფერი mოესწრება.

აკაკის აჩრdილი

არ შეგვიdლია, გვერdი ავუაროთ mეცოცხეთა პარტიის ქურუmის კიdევ ერთი არაადეკვატური mონოლოგით გაჯერებულ ჩართვას თანamოაზრეებისadmი, რomლებიც ამჯერად mათი dაუdინებელი mტრის mშობლიურ საჩხერეში შეიკრიბნენ.

ramdენიmე dღეც dა ოლიგარქისთვის პირdაპირი ავიარეისი შესრულdება ჭორვილა-mოსკოვის mიmართულებით, romელიც ივანიშვილს „გაზპრomის“ mეწილეებთან rუსეთში ჩაიყვანსო — dააბრეხვა mიხუილოm.

ყველა შენნაირი mაწანწალა rატომ გგონია, იუზგარ?!

სხვათა შორის, ნაცბანdაში rომ სერიოზული კრიზისია, აღნიშნულ mხარეში mაჟორიტარობის კანdიdატად გვარamია-კილაძის ზონdერჭურნალისტთა კლასტერის წევრის, ვინmე კაპანაძის dასახელებაც adასტურებს, romელmაც იქაურებს უdიdესი საჩხერეlის — აკაკი წერეთლის უკვdავი სტრიქონები შეახსენა: **„სჯობს mონობაში გadიdკაცებულს თავისუფლების ძებნაში mკვdარი“.**

mართლაც rომ ასეა, mაგრamd საინტერესოა, ეს ჩვენი ვაიკოლეგა rაგორ თავისუფლებას mიელტვის?

dა კიdევ: ნეტავ, თუ mოეხსენება, საძართველოს ბულბულmა „საკუთარ mინdორზე“ rომ წაagო სახელmწიფო სათათბიrოს არჩევნები?

გია პლატონიშვილი

გულის ფიცარზე აღბეჭდილი

გიორგი ლეონიძე შვილიშვილთან (გოგლიკოსთან) ერთად.

გურამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



გიორგი ლეონიძეს უყვარდა გავლა, – წერს ეთერი, – ერთ დღეს გულმა მცხეთისკენ გაუწია. სექტემბრის მზიანი დღეა. სვეტიცხოვლის ეზოში დგას კონსტანტინე გამსახურდია, მასთან არიან გიორგი ნატროშვილი, მამია ასათიანი, ნუცა ანანიაშვილი. ბატონმა კონსტანტინემ განზე გამიხმო და მთხოვა, სანთელი დამენთო დედამისის ელისაბედისთვის და გრიგოლ რობაქიძისთვის. მახსოვს ორი წლის წინათ ბატონმა კონსტანტინემ აქ, სვეტიცხოველში გადაუხადა პანაშვიდი გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც1962 წლის 19 ნოემბერს ჟენევაში გარდაიცვალა.

მე მომაგონდა გრიგოლ რობაქიძის ანდერძი: „**ჩემი ნატვრაა, როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მივიდეს ვინმე მცხეთას, დამინთოს სანთელი სვეტიცხოველში იმ პაწია სალოცავის წინ, კუთხეში მარჯვნით რომ არის და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს**“. სანთლები დავანთე. ტაძრიდან გამოვედი და ვხედავ ეზოში შემოდის გიორგი ლეონიძე ჩვეული ენერგიული ნაბიჯით. მოდის თავაწეული. გაღიმებული. ქვიშისფერი კოსტიუმი მხარზე გადაუგდია. ნესტანი მოჰყვება. კონსტანტინეს ძლიერ გაუხარდა მისი ნახვა. გულთბილად მოიკითხეს ერთმანეთი. ისაუბრეს. ტაძარს შემოუარეს. შემდეგ რესტორანი „არმაზი“. სუფრა დიდი სისწრაფით გაიშალა. მთელი დარბაზი წამოიშალა. მოწიწებით მიესალმებიან და ადღეგრძელებენ ქართული ლიტერატურის ორ დიდოსტატს. ჭიქები წამდაუწუმ ივსება და იცლება. ბატონი გიორგი ღვინოსა სვამს, ბატონი კონსტანტინე კი მხოლოდ კონიაკს და თან დროდადრო ღიღინებს: „**დარდი მაქვს მძიმე, ძმობილო, გულს დაბჯენილი რქითთაო, სხვით არაითა მშორდება, თუ არ სასმელის სმითთაო**“...

ბატონი კონსტანტინე გულითადად ადღეგრძელებს თავის საყვარელ მეგობარს და ასე იტყვის: **ერთი ეს მითხარი, შე ბუხუნავ, რას ფიქრობ, რომ ჯერ ლამაზ ქალებში მეცილებოდი და ახლა პროზაშიაც რომ შემეცილეო.** შემდეგ დასძენს: **არაფერია. ბედნიერია შენებრ დიდი პოეტი. მთელი სამყარო ერთ უზარმაზარ ქარხნად რომ იქცეს, მუდამ სანუკვარი იქნება ბულბულის სტვენა, ბეთჰოვენის სონატა „აპასიონატა“ და პოეტის სიმღერა. ჩემი სტუდენტობის დროს მიუნხენში თომას მანნის ვილაში მე შევხვედრივარ ალბერტ აინშტაინს, რომელმაც ასეთი რამ თქვა: მე დოსტოევსკიმ უფრო მეტი მომცაო, ვინემ გაუსმა. „დგას საქართველო ოქროს თასივით შენი ლექსების ნექტარით სავსე“**, – უთხრა ბატონმა კონსტანტინემ და გადაეხვია თავის მეგობარს. გიორგი ლეონიძემ ჩვეული არტისტული სინატიფით ჭიქა მაღლა აუწია და ასე ეუბნება კონსტანტინეს: „**ჩაწნილხარ სულში უკვდავ ჩუქურთმად ძვირფასო, შენ და სვეტიცხოველი**“... შემდეგ დასძინა: – „**ძველ ქალწულების ნაზი ღიმილი აივნებს ისევ შემორჩენიათ**“... ამ ქუჩებში ყოველთვის მდევენო სერაფიტას და არსაკიძის ლანდები. მათი სული ამ მთებში არისო შეხიზნული. მე მომაგონდა მისი ლექსების სტრიქონები: „**იქნებ ლერწამი შენი ძვლებია, არაგვის ჩქერზე ამორხეული, იქნებ ჩუქურთმას შენაცვლებია სვეტიცხოველზე შენი სახელი. იქნება მტკვარზე მდგარი ნისლი ხარ, ფრთები რომ გაჰკრა ახლა ფრინველმა...**“

გლოვის ზარივით გავარდა მთელს საქართველოში, – ასრულებს თავის მოგონებას ეთერი, – ეს უბედურება. „**გიორგი ლეონიძის სიკვდილმა დაბადა ჩემში გრძნობა მარტოობისა და სულიერი სიცარიელისა**“, – თქვა ღრმად დამწუხრებულმა კონსტანტინე გამსახურდიამ, – „**შენ თავად ჰანგი, შენ ნაწილი იყავ ბუნების, ამ ლხინის სუფრის, ამ სიცოცხლის, ამ საუკუნის, შენ ამ მთა-ბარის ხოტბა იყავ ამ ოქროს ტბაში, სულ სიყვარული, აღტაცება, ვაშა და ტაში**“, – ასე ამბობს ირაკლი აბაშიძე გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსში. უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მიაგო ჩვენმა ხალხმა თავის დიდ შვილს. გლოვის დღეები იდგა საქართველოში. ზღვა ხალხი მიაცილებდა თავის უკანასკნელ გზაზე. ეს იყო გრანდიოზული პროცესია.

საქართველო ეთხოვებოდა დიდ პოეტს და მგზნებარე მამულიშვილს: – „**სიკვდილს არ ჩაჰბარებიხარ, ჩაბარდი ქართულ მიწასა... შენი აჩრდილი თრთის მთაწმინდაზე, შენი ნაქროლი აჩნია თბილისს**“...

ნათქვამი რომ არის, მთამ თავისი წონა არ იცისო, გოგლამ, პირიქით, კარგიც უწყოდა, რა სიმძიმისაც იყო თავისი ხალხის თვალში და ზოგიერთივით ტყეში კი არ მიჰქონდა შეშა, არამედ იქიდან გამოჰქონდა იმედგადაწურული ადამიანის გულის გასათბობად.

სიყმაწვილეში ძალიან დიდხანს მეგონა და ახლაც ხანისად იმ აზრზე ვარ, რომ ამ წუთისოფლის დრო-ჟამი უწინარესად და უპირატესად თავდაუდებელ მაშვრალ ადამიანთ, ნიადაგ მრუდუნებელთ გაჰყავდათ და გაჰყავთ დრო, უმთავრესად კი იმათ, ვინც წიგნებსა თხზავს, ვინც უძირო ცაში ვარსკვლავთ აღრიცხავს ან სახლებს აშენებს, გზები გაჰყავს, შვილებს ზრდის, მასწავლებლობს, სიკვდილს ებრძვის, სამკურნალო ბალახთ აგროვებს და ახალ-ახალ წამალს ამზადებს, ვინც სამყაროს საიდუმლოებას ჩაჰკირკიტებს, ატომს ხლეჩს, ბუნების ფერები ტილოზე გადააქვს, ხოლო ნაირ-ნაირ ხმათაგან ოპერებსა და სიმფონიებს ქმნის, სალამურს ან ჩონგურსა თლის, მდინარეთა წიაღ ხიდებს აშენებს, ხიდაბუნებსა ხნავს, თერძავს, სოფელში წყარო გაჰყავს, სოფლისავე ნახირსა მწყემსავს, ვინც ხიჩატელს, ანუ ველურ ტყეთა შიგან უმუშაკოდ მოსულ ხისა ნაყოფთ წალკოტთა მყოფთა ხილთა, ხეზე მოსულთა, ქერქრბილთა ზედა ამყნობს. ვისაც ზღვებსა და ოკეანეებში გემები დაჰყავს, ცაში კი რკინის არწივთ დააქროლებს, ვინც სამშობლოს საზღვრებს იცავს, ქურდთა და კაცის მკვლელთ ლაგმავს... თუ არა ეს ადამიანები, დრო-ჟამი, თანაც ამდენი და ასე სწრაფად, იქნებ არც გასულიყო. ჩვენ კი გვგონია, რომ სამყაროში დრო ერთადერთია, რასაც, მარადიულად მედინს, გაჩერება არ შეუძლია... ამ მიწყივ მრუდუნებელ ადამიანთა შორის ჩემს ქართულ თვალსაწიერში გამორჩეულად მოჩანს ჩემი გიორგი ლეონიძე, მარადის სიტყვაგაუხუნარი, გულთმისანი გუთნისდედა, საქართველოს თანამდევ სულთა თანამეაბჯრე...

გოგლა ერთდროულად წარსულშიც იყო, თანამედროვეობაშიც და მომავალშიც. იქნებ ამიტომაც უყვარდა უცებ წამოძახება: **წარსულს რაც რომ უხრწნელი აქვს, მთლად ეკუთვნის მომავალსაო...** იმას თავის დიდ მასწავლებლებად მიაჩნდნენ რუსთველი, გურამიშვილი და ბარათაშვილი, რუსთაველი იმისთვის ცოცხალი ღმერთი იყო. აკი ამბობდა კიდეც, **როგორც არ არის სხვა საქართველო, ისე არ არის სხვა რუსთაველიო.**

თითო საუკუნეში თითო ილია ჭავჭავაძე თუ დაიბადება, საქართველოს გადაშენება არ უწერიაო, იტყოდა ხოლმე ამაყად... ადამიანში უწინარეს ყოვლისა, სინდისის ქონას აფასებდა, სუფთა სინდისი საუკეთესო ბალიშიაო, თავადაც ამ აზრით ცხოვრობდა.

ბევრჯერ უთქვამს, ცუდია, როცა სინდისი სწორედ იმას არა ქენჯნის, ვისაც ის ყველაზე მეტად სჭირდებაო...

სიცოცხლის ბოლო ხანს, უკვე მოდაისებულზე, ჟამსა მიმცხოვნებისასა, ძალიან მოუხშირა ბღუჯა-ბღუჯა ყვავილებით მთაწმინდაზე სიარულს. ჩამოუვლიდა თავის ძვირფას საფლავებს და ყველგან წითლად აბდღვრიალებულ ვარდს დადებდა. მარტო ვაჟა-ფშაველას საფლავთან მიჰქონდა მინდვრის ყვავილები. ვაჟა ჩემი პოეტური ნათლიაა, ყველასგან განსხვავებულიო, ამბობდა...

ერთხელაც ავიდა მთაწმინდაზე, ოღონდ, როგორც პოეტი იტყოდა, ამჯერად „**ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა, იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა...**“ და იმის მერე აღარ ჩამოსულა საქართველოს თანამდევ სულთა მარად ჩაფიქრებული სავანიდან... არ ვიცი, სრულად ვთქვი თუ არა გულის ფიცარზე აღბეჭდილი ჩემი სათქმელი და სხვათაც ჩემსავით დავანახე თუ არა ჩემი გიორგი ლეონიძე, რომელმაც სოლომონ მსაჯულისგან ერეკლეზე თქმულისა არ იყოს, „**საიქავოდ აქა ადიდა სახელი?..**“

გურამ გოგიაშვილი.

19-19 VII-VIII, 2020 წ.

დასასრული. დასაწყისი Ob. №115-117, 118-119, 126-138

P.S.

ამ თვრამეტი წლის წინათ საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის (დღესაც ვითომ ცოცხალია ეს პალატა?!..) მცხეთა-თიანეთის დეპარტამენტის გაზეთმა „**ენა ქართულმა**“, რომლის რედაქტორიც უკეთილშობილესი ადამიანი, პოეტი ალექსანდრე დიდებაშვილი იყო, პირველ ნომერში (მერე გამოვიდა თუ არა, არა ჩანს) ენის დასაცავ სხვა საუკეთესო მასალებთან ერთად რუბრიკით „**სიტყვის ჯავარი**“ დაბეჭდა გიორგი ლეონიძის მცირე „სიტყვისკონა“ იმის ნიმუშად, თუ რარიგ შეუძლია ერთ შემოქმედს მშობლიური ენის გამდიდრება-გაძლიერება... ბარემ ჩვენც მოვივარგოთ, საქმეს თვალცხადლივ წაადგება:

გიორგი ლეონიძის მცირე „სიტყვისკონა“:

დრო დააბერა ბებომ; ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელია; შემაზავთა; ქარფეხა ცხენი; უგვარკილო; წასულან გმირები გარდამავალი წვიმებივით; თითქოს მათმა სისხლმა აღმოაცენა სხივნარა ყვავილები; ცა იყო ნაზი და წმინდა სიყვარულივით; სულხანა გმირი არ იყო, მაგრამ ჭირნახულის ამაგდარიც გმირად ითვლებოდა; მარჯანა სიჭაბუკეშივე მომკვდარიყო, „სიმღერისაგან დაიწვაო“, მარწმუნებდნენ:

— ადე, შვილო, თაფლით შედედებულო, ადე, თვალებში გაკოცო, სახელი მოგილოცო! — ჩაცქერით მიწას ელაპარაკებოდა ჩახტაურა, ვაჰმე, სად დაჭკნა სივაჟის ყვავილი? რამ გაანედლოს დამწვარი საჯიშე კვირტი გვარისა, ჩემი უბის სითბოთი გამოზრდილო!..

ნათლისღებას ირემიც კი არ გაექექება ხეს; არ უყვარდა მაღალსამტვრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი; ენით ნუ ჩქარობთ, საქმით იჩქარეთო; ეშმაკის ნატეხი პური ნუ გინდათო; გასუნთქულები უსმენდნენ თამადას, ისეთი სიჩუმე იდგა, როგორც უფრინველო ტყეში; ღვინოს მიეძალნენ მზემწყურვალნი; მონადირე იყო, ირმის ნაფრენის მდევარი; ფათერაკი მწყრის ფერია, უცებ წინ ამოგიხტება; კიდევ გაასურნელა მაისმა ქვეყანა; სირცხვილი დიდი ქვა არის, სახელი არ გაასრესინოთ ამ ქვას; კაცს ვერ გამოიცნობ ისე, როგორც გარედან ლებანს კირკიტ კაკალში.

სამოყვრო ამინდი

პატარა თოვლი რომ წამოვა ფინფლებად, მიწას რომ ოდნავ წაჰქირსლავს ნელა, ტკბილად, თბილად, უზრუნველად, მაშინ, თუ სოფლად ხარ და უკვე აკრეფილი გაქვს მიწის ზურგიდან მოსავალი და მარანბეღელში დაბინავებული, შინ რაღა უნდა ქნა, ისიც ასეთ ამინდში? და უცბად, შეგახსენდება, რომ ამდენი ხანია, რაც არ გინახავს შენიანი, მოგწყურდება მოკეთის, მოყვრის ნახვა. წახვალ და მოინახულებ, გაუხარდება, გაგიხარდება! აი, რა არის სამოყვრო ამინდი, ალერსის დღე!

ალბათ, არ ივარგებს, რომ აქვე ისიც არ ითქვას, რარიგ აწუხებდა გოგლას მისისა და თავისის, ჰაე-სა და სან-ის არასწორი ხმარება... ამას ყველაზე მეტად ჩემი საყვარელი იმერლები ურევენო, ამბობდა...

მე განგებ მოვიყვანე ამ ვრცელი მოგონების ბოლოში დიდი მესიტყვის ენობრივი ჭირნახულის ძალიან მცირე ნაწილი. მთელი შემოქმედებიდან, ალბათ, ერთი დიდი ტომი გამოვიდოდა. ჩემი მიზანია, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ ხშირ საკითხავად გაიხადოს ჭეშმარიტად დიდი მეოცესაუკუნელი ქართველის გიორგი ლეონიძის ენობრივი თვალსაზრისით ნამდვილად უმდიდრესი განძი, რადგან, როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა, კარგი ქართულით მეტყველება, არასწორი სიტყვებისგან და გამოთქმებისგან ქართული სასაუბრო თუ სააზროვნო ენის გაწმენდა ყველამ უნდა მოინდომოს, თორემ როდის მოუყვანია ერთი მერცხლის ჭიკჭიკს გაზაფხულიო... ასევე ყველას უნდა გვახსოვდეს ჩვენი ძველი დიდი წინაპრის იოანე ზოსიმეს სიტყვები, რომ ყოველივე საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს. ეს საიდუმლო კი, დიდი ილია ჭავჭავაძის განმარტებით, ჩვენი ენის ის განსაკუთრებული თვისებაა, რასაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრიან. ეს კია, რომ ქართული ენა კვლავაც და კვლავაც შესანატრებელ ენად რომ დარჩეს, თითოეული ქართველის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა... გიორგი ლეონიძის ანდერძნამაგიც დიახაც ეს არის!

დასასრულ კიდევ ერთს ვიტყვი: ეს ჩემს გულში დიდი გულწრფელი სიყვარულით შენივთებული ესეი-მოგონება ჩემი გიორგი ლეონიძის საფლავის ნეტამც წითლად ბდღვრიალა ვარდად იქცეს ყველა ქართველის მადლიერების ნიშნად.

დაბოლოს, ვფიქრობ, ბევრი რამ ჩემს ამ ესეი-მოგონებაში უცნობია, როგორც იტყვიან, ფართო მკითხველისთვის, რამეთუ ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის ის „საისტორიო მოამბე“, რომელსაც შიგადაშიგ თვალს ჩავკრავდი ხოლმე და რომელიც სულ 500 ცალია დაბეჭდილი, ჯერ კიდევ შარშანდელი საუკუნის 80-იან წლებში. და სადაც პირველად ქვეყნდება გიორგი ლეონიძის ხმის ჩანაწერები, დაცული საქართველოს კინოფოტოდოკუმენტების მთავარ სახელმწიფო არქივში. ეს ჩანაწერები ჩვენს მთავარ არქივში შემოსულია საკავშირო ხმის ჩანაწერების მთავარი სახელმწიფო არქივიდან და საქართველოს რადიოს ხმის ჩანაწერების ფონდიდან.

სად გაგონილა, ხალხო, გიორგი ლეონიძის ხმა არქივში! ის ხმა ხომ ნიადაგ უნდა ისმოდეს საქართველოში როგორც სამშობლოს ფხიზელი სიყვარულის გულისეული ძახილი!..

და დღესაც გოგლას უქართულესად გამაქართველებელი მწიფე ლექსის ყუათიანი კეთილხმოვანებით გაჟღენთილ ყურში სიმღერისებრ ჩამესმის:

„გიჟო-გიჟო! ჩემო გიჟო!
ჩემო ენამწარევ —
ლეონიძევ, კოხტა ბიჭო,
შენ კი გენაცვალე!..“

გ.გ.

ფოლკნერული მიწის ყივილი

„გარდავედ, მოსე“ იოკნაპატოფას საგის კარშემხსნელად



სამწერლო ცხოვრებაშიც ხშირად ხდება ატაცება თუ აჩემება რაიმესი ისე, მისი გადახედვისა თუ გადასინჯვისთვის თავს აღარ იწუხებენ.

გაუიგივდება ამა თუ იმ მწერლის სახელი მის რომელიმე თხზულებას და... თითქოს უკეთესი ან არანაკლები არაფერი დაეწეროს, ან თითქოს საერთოდაც აღარაფერი დაეწეროს.

ემბლემასავითაც კი ჩამოეკიდებათ ხოლმე და მათ გვერდით უსამართლოდ იჩაგრებიან შესანიშნავი ქმნილებანი.

თუნდ მიხეილ ჯავახიშვილზე საუბრისას საერთოდ არა, ანდა სხვათა შორის თუ ახსენებენ „გივი შადურს“, თითქოსდა ის ქართული რომანისტიკის ერთი საუკეთესო მონაპოვარი არ იყოს და რითიმე ჩამოუვარდებოდეს ან „ჯაყოს ხიზნებს“ და ან „კვაჭი კვაჭანტირაძეს“.

კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელსაც“ ისე ეკრძალებიან, თითქოსდა ამ რომანის წარუმატებლობის აღნიშვნით... ამ დიდებული მეფისადმი გამოიხატებოდეს უპატივცემულობა. არადა, „მთვარის მოტაცებისა“ თუ „დიდოსტატის მარჯვენის“ თანაბრად როგორ უნდა იხსენიებოდეს.

ან კიდევ – ნიკო ლორთქიფანიძის სახელი უპირველესად „თავსაფრიან დედაკაცს“ რომ ახსენებთ, სინამდვილეში ის ხომ მეორეხარისხოვანი ნოველაა მისივე არამცთუ შედევრების, არამედ მშვენიერი თუ კარგი მოთხრობების ფონზეც.

ამ მხრივაც გადასახედია ჩვენი ლიტერატურის უკეთესი მონაპოვარი, თუმცა ეს გაიოლებული დამოკიდებულება მარტო ჩვენ არ გვჭირს, და აგერ თუნდ უილიამ ფოლკნერის სახელთან უპირველესად იმ რომანს ახსენებენ ხოლმე: „ხმაური და მძვინვარება“ – რომელსაც მწერალი თავის ყველაზე საყვარელ თხზულებად ასახელებდა.

მაგრამ... „საყვარელი“ ულაპარაკოდ უიგივდება „საუკეთესოს“?

ხან კიდეც, მაგრამ ყოველთვის არა, მით უმეტეს უილიამ ფოლკნერი ამ რომანისადმი თავის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იმით ხსნიდა:

ყველაზე ძალიან გამტანჯა და მაწვალა და ისევე მიყვარს, როგორც დედას – სნეული შვილი, ყველაზე მეტად ვინც მოითხოვს მის მზრუნველობასა და ყურადღებასო.

გაწვალება-გატანჯვაში იმას გულისხმობდა, მოთხრობად რომ აპირებდა მის დაწერას და... უნებლიეთ გამოსვლოდა რომანი, და ეს მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე მიატოვებდა, ხან ერთი პერსონაჟის პირით რომ ამჯობინებდა ამბის მოყოლას, ხან მეორესი და ხანაც მესამესი. არ მოსწონდა და არა არცერთი ნაამბობი, მაგრამ... ვერც თავი მოება და ვერც მოშვებოდა...

და აი, ერთხელაც სამივე მიტოვებულ მოთხრობას გააერთიანებდა, ავტორისეულ თხრობასაც მიაბამდა მეოთხე ნაწილად, ერთს თავიდან ბოლომდე ჩამოჰყვებოდა და... რომანიც გამოიძერწებოდა, სალიტერატურო კრიტიკა ფარზე რომ აზიდავდა და იოკნაპატოფას საგის გვირგვინად მიიჩნევდა. და ორივე ხელით მოეჭიდებოდნენ მწერლის აღიარებასაც: ჩემი ყველაზე საყვარელი თხზულებაო.

და მზერას აარიდებდნენ „საყვარელის“ ფოლკნერულ განმარტებას – მის გაიგივებას სნეულ შვილთან.

„ხმაური და მძვინვარება“ თავისთავად რომანისტიკის მონაპოვარია, ასე რომ, კრიტიკას მიკერძოება მაინცდამაინც დამამძიმებელ ვითარებაში არ ჩაუდენია, მაგრამ ნუ ავკიდებთ ამ რომანს უფრო მეტს და ნუ გავაიგივებთ უპირველესად მასთან უილიამ ფოლკნერის სახელს, რადგანაც იოკნაპატოფას საგა იმ მხრივაც გამოირჩევა, რომ:

მწერალს ჩავარდნა არა აქვს ამ ციკლში და თავით ბოლომდე თითქმის ინარჩუნებს უმაღლეს რანგს; და აუხსნელია, რითი ჩამოუვარდება „ხმაურსა და მძვინვარებას“ ან „აბესალომ, აბესალომ!“ ან „ველური პალმები“, ან „აგვისტოს ნათელი“, ან „სული რომ ამომდიოდა“, ან „გვამის შემგინებელი“, ან „დაუმარცხებლები“, ან „სავანე“, ან ტრილოგიად გამოცალკევებული – „სოფელი“, „ქალაქი“ და „კარმიდამო“, ან... ან... ან...

„გარდავედ, მოსე“ ხომ დაჩაგრულია და დაჩაგრული...

იმათ კიდევ ახსენებენ ხოლმე „ხმაურისა და მძვინვარების“ გვერდით, „გარდავედ, მოსე“ კი იოკნაპატოფას საგის შეკვეცილ ჩამონათვალშიც არასოდეს შემხვედრია, თითქოსდა მოსახსენებელიც არ იყოს.

არადა: უამრომანოდ ეს გრანდიოზული შენობა?!.

ის ხომ კარის შემხსნელია მთელი საგისა, ყველაზე მეტად მიბმული პირველყოფილებას, სამყაროს გაჩენისა და სიცოცხლის დამკვიდრების ჟამს, მიწის მადლისა და ძალის შეგრძნებას, მისი გულისგულის გათავისებასა და ამავდროულად გვარების შექმნას ანუ პიროვნული ღირსების გამოკვეთას.

მიწის აპოლოგიაა „გარდავედ, მოსე“.

და გვარის აპოლოგიაც.

ამ მხრივ – უპირველესად მაინც მიწის შეგრძნებით – ქართველი მწერალიც კი შეიძლება გეგონოს, რადგანაც მიწას ღმერთთან აიგივებს.

და უგვაროდ ვერ წარმოუდგენია არამარტო ადამიანი, არამედ ქვეყანაც.

ეს ყოველივე კი უშუალოდ უნდა გამოხატულიყო და მთელი სიმძაფრითაც „დათვად“ სახელდებულ მონაკვეთში, შინაგანი აღნაგობითაც და კომპოზიციურ ჩარჩოთიც დამოუკიდებელ მოთხრობადაც რომ წარმოგვიდგება.

საამისოდ ამ მონაკვეთის მეოთხე თავი უნდა შეერჩია ფოლკნერს, თან... სასვენ ნიშნებს საერთოდ რომ გაერიდებოდა, ერთი-ორს თუ დასვამდა და ისიც... უადგილო ადგილას.

ლექსი ხომ არ არის, უსასვენნიშნებოდაც რომ გაართმევ თავს მის დინებას და გაერკვევი ლირიკულ შინაარსში – პროზაა, და ამით კიდევ უფრო გართულებული ამოსაკითხ-ამოსაცნობად.

ჯერ ისედაც რთული სტილური მდინარება უილიამ ფოლკნერის მხატვრული ნააზრევისა აქ უკიდურესობასაც მიაღწევდა.

მაგრამ მწერალს ეიმედებოდა თავისი თავისა.

და ეიმედებოდა იმ მკითხველისაც, თავის სწორად და ფარდად რომ გამოუჩნდებოდა.

თავიდან ძნელდება ფოლკნერის მოთხრობებისა და რომანების კითხვა, პირველი ხუთი გვერდია გასაძლებიც და გადასალახიც... მაგრამ შეეჩვევი და გემოს გაუგებ თუ არა, ისე გითრევს, გამოსვლა აღარც გინდა მის სტილის შუაგულში მოქცეულსა და ბოლომდე განმცდელს ამ სტილური ხვეულების ექსპრესიულობისაც და მომხიბვლელობისაც.

და ამჯერად სასვენ ნიშნებს ერთბაშად რომ მოუსვამდა ხელს და გადაყრიდა, მხოლოდ იმ მიზნითა და სწრაფვით, კიდევ უფრო ჩაეთრიე და მორევივით ეყურყუმელავებინე მის წიაღში, რათა კიდევ უფროც გაგმძაფრებოდა შეგრძნებანი, კიდევ უფროც გაგმახვილებოდა და: მიწვდომოდი იმ პირველქმნილს, იმ იდუმალს, შორეულზე შორეულ ჟამში რომ გადაგახედებდა და ისეთ შთაბეჭდილებას დაგიტოვებდა, თითქოსდა ბიბლიის დაკარგულ ფრაგმენტს ეცნობოდი, წინასწარმეტყველის წიგნს – დიახ, თვით იმ მოსესი, რომლის სახელიც რომანის საერთო სათაურისთვისაც დაესაჭიროებინა ფოლკნერს, ისევე როგორც იოსებ მშვენიერის თავგადასავალსაც უნდა გაეელვა თხრობისას და ამითაც მიენიშნებინა მკითხველისთვის: რასაც გრძნობ – ბიბლიურ სამყაროსთან ზიარებას – წინდაწინვეა ჩაფიქრებული ჩემს მიერ და ამ გზასა და კვალს გაჰყევიო.

და მთელი სისავსით ამიტომაც უნდა შემოცურებულიყო ამ უჩვეულო რომანში მიწაც და მისი შეგრძნებაც ზეცის ტოლსწორად.

ამიტომაც უნდა მოგესმინა და განგეცადა მისი ყივილიც – მიწის ყივილი.

ამიტომაც უნდა გამონათებულიყო შენს თვალთა წინაშე კაცობრიობის გარიჟრაჟი.

და სხვაგვარად როგორ მოხდებოდა ეს ყოველივე, თუკი უილიამ ფოლკნერი არ აიწყვეტდა და თავის თავსაც არ გადააჭარბებდა – გარეგნული სირთულითაც და შინაგანი სილაღითაც და ექსპრესიულობითაც.

და ამიტომაც წარმოგვიდგება „გარდავედ, მოსე“ იოკნაპატოფას საგის კარიბჭის შემხსნელადაც.

ამიტომაც წარმოგვიდგება „დათვის“ მეოთხე თავი იმ კარიბჭის მთავარი კლიტის მთავარ გასაღებად.

ამიტომაც ჩავაკვდებოდი ამ თავს პაატა ჩხეიძესთან ერთად, რაკიღა მის ქართულად ამეტყველებას უნდა განესაზღვრა ამ რომანის მნიშვნელობაც და დანიშნულებაც, და თუ ალაგ-ალაგ სისხლი მოგელანდოთ, იგულისხმეთ, რომ მართლაც მოჟონავს...

მეტაფორულად ვამბობ, თუმც... კაცმა არ იცის, სად იწყება და სად მთავრდება მეტაფორის საზღვრები!..

როდესაც მწერალი აიწყვეტს, მთარგმნელებმაც თუ არ აიწყვიტეს, ისე რას გინდა, ეწიო, როგორ გინდა, მოიტანო მკითხველამდე ფოლკნერული მიწის მადლი თუ მიწის ყივილი.

და ეს ასერიგად მნიშვნელოვანი რომანი ჩაკარგულ-დაჩაგრული უნდა ყოფილიყო?

და ფოლკნერის ვითომდა საუკეთესო რომანის გვერდით აღარც კი გამოჩენილიყო, თითქოსდა მზეს მიეშუქებინოს თავისი სხივები ვარსკვლავისათვის?

ისე თუ მაინცდამაინც ამ ორ რომანს შორის მოვინდომებთ იდუმალი ხიდის გადებას, მათ შეთანასწორებას ერთიმეორესთან, პირობითად ასეც შეიძლება გავიაზროთ მათი ურთიერთობა:

„გარდავედ, მოსე“ ძველი აღთქმის თანამედროვე ვერსიაა.

„ხმაური და მძვინვარება“ – ახალი აღთქმისა; და ესეც ოთხთავისაგან რომ შედგება, შემთხვევითი კი არ არის, უილიამ ფოლკნერს იდუმალი კანონზომიერებით რომ უნდა ევლო ამ ეპიკური ქმნილების გამოსაკვეთად – გადაეგდო მომავალი ერთი თავი, გადაეგდო მეორეც, გადაეგდო მესამეც... და შეჰყვარებოდა ამასობაში თითოეული პერსონაჟიც და მათი მონათხრობიც, რაკიღა რაღაც ძალა ნებას არ მისცემდა, სამუდამოდაც აეღო ხელი მასზე, მიაბრუნებდა და ერთიან კომპოზიციურ ქარგაშიც მოაქცევინებდა, თორემ რამდენი ჩანაფიქრი დარჩებოდა აღუსრულებელი.

„არტანუჯი“ და „ინტელექტი“ თანდათან და მიზანდასახულად რომ შესდგომიან იოკნაპატოფას საგის სრული კორპუსის ქართული ორეულის მომზადებასა და გამოცემას – და რომანების ციკლთან ერთად ფოლკნერის მოთხრობებისაც – დროულად უნდა ჩართულიყო ამ წამოწყებაში „გარდავედ, მოსე“:

სწორედაც როგორც კარიბჭის შემხსნელი ამ გრანდიოზული მხატვრული სამყაროსი, თან ასერიგად მახლობელი ჩვენთვისაც მიწის ძალისა და მადლის განცდით და მისი აზიდვით ღვთაებრივ სივრცეში.

...და კიდევ ერთხელ ვდგავართ სინას მთის ძირას და ველოდებით წინასწარმეტყველის ხელით ჩამოტანილ ათ მცნებას, რათა მალევე ვიხილოთ ქრისტიანულ ემბაზში ამოვლებული და კვლავ ვპოვოთ ჩვენი ის სახე, რისკენაც ასეთი დაუმცხრალობითა და თავგანწირვით მიგვიძღოდა და კვლავაც მიგვიძღვის თუნდ უილიამ ფოლკნერი, მიგვიძღვის მიწის გაუნელებელ ყივილში.

როსტომ ჩხეიძე

წიგნი სახელოვან რეჟისორზე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ტელე-კინო-ხელოვნების მიმართულების ასოცირებული პროფესორის, საზოგადო მოღვაწისა და ცნობილი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის – „SELF MASE – ვინც თავისი თავი შექმნა“ (პუბლიცისტური ნარკვევები) და დისკის „საქართველო ღვინის სამშობლო“ წარდგენა გაიმართა.



წიგნი „ELF MADE“ (ავტორი – ნინო კაკულია) მოიცავს მერაბ კოკოჩაშვილის მრავალმხრივი საქმიანობის ვრცელ ბიოგრაფიულ ჩანახატსა და ცნობილ ადამიანთა შეფასებებს მის მოღვაწეობაზე.

რევაზ თოფურია

№ 139-140. ხუთშაბათი-პარასკევი, 22-23 ოქტომბერი, 2020 წელი.

ვინ ვისი „ძალლია“, ანუ საით გადაიხრება პინა?!.

მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული ცეცხლის შეწყვეტის მოსკოვის შეთანხმებამ, რომელიც 11 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის შუამავლობით, სულ რაღაც ერთი საათი გაძლო და ორივე მხარის სარაკეტო თავდასხმის შედეგად სული დალია.

საბრძოლო მოქმედებების „თეატრში“ გაცილებით რთული ვითარება შეიქმნა, ვიდრე მოლაპარაკებამდე იყო. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა მსხვერპლით და ნგრევით, ვერბალური ომის თანხლებით. მხარეები ერთმანეთს აბრალებენ შეთანხმების დარღვევას.

რთულ მდგომარეობაში იყო შუამავალი რუსეთიც. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს ლავროვს ძალა არ დაუშურებია ორივე ქვეყნის დიპლომატებთან სატელეფონო საუბრებში. თავისი სიტყვა თქვა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ აზერბაიჯანელ, სომეხ და თურქ კოლეგებთან საუბარში, თუმცა ჯერჯერობით გაჯიქებული მხარეების დაშოშმინება და თუნდაც დროებითი დაზავება – ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების მიზნით ჭირს.

თითქოს რაღაცა შედეგი იქნა მიღწეული გასული შაბათის სატელეფონო საუბრის შემდეგ, რომლის მიხედვით, მომდევნო კვირიდან ცეცხლი უნდა შეწყდეს, მაგრამ შეწყდება თუ არა – ძნელი სათქმელია, ისე, როგორც დაიწყება თუ არა მოლაპარაკება მთიანი ყარაბაღის საუკუნოვანი პრობლემის გადასაწყვეტად.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის რეანიმაციამ კარდინალურად დასვა კითხვა – საბოლოოდ გადაწყდება თუ არა ეს საკითხი და იქნება თუ არა შეთანხმება ისეთი, რომელიც ორივე მხარეს რომ დააკმაყოფილებს. და არა მარტო მათ, არამედ დაგულისყურებული სახელმწიფოებსაც, უპირველეს ყოვლისა, თურქეთსა და რუსეთს. და არა მარტო მათ, არამედ სხვებსაც, მიწა-წყლით, საკმაო მანძილით დაშორებულებს კავკასიიდან, მაგრამ ამბიციური გეგმების მატარებლებს კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის მიმართ.

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტმა რახანია გადალახა ორი ქვეყნის საზღვარი და საერთაშორისო კონფლიქტად იქცა. ასე არის უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, თუმცა ნურვინ იფიქრებს, რომ ეს პრობლემა მხოლოდ 30 წლისაა. მას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და ჩვენი წელთაღრიცხვის 387 წლით თარიღდება, როდესაც არცახისა და უტიქის რაიონები გადაეცა კავკასიის ალბანეთს, ქვეყანას, რომელიც სპარსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

იქიდან მოყოლებული მიმდინარეობს ერთი და იგივე პროცესი – ეთნიკური ხასიათის ომები, ხშირად საკმაოდ „ცხელი“, გენოციდის თანხლებით. ომებში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. მიზეზი ამისა – ომის წარმოების არასაკმარისი რესურსი იყო. საომარი დაპირისპირება მაშინ წყდებოდა, როდესაც ამ მიწა-წყალს სხვა უფრო დიდი და ძლიერი სახელმწიფო იპყრობდა – არაბეთი, სპარსეთი, ოსმალეთი, რუსეთი. ფორმალურად თუნდაც „დიდთა“ ქვეშ ყოფნის დროს არცახი „დამოუკიდებლობას“ თამაშობდა, თუმცა ერთობ სუსტ ფუნდამენტზე დაფუძნებულს.

საბჭოთა დროს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს ერგო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იქ გაჩენილმა ეთნიკურმა დაპირისპირებამ სერიოზულად იჩინა თავი, რასაც მოჰყვა სომხეთის აქტიური სამხედრო ჩარევა და მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანიდან ჩამოშორება, არავის მიერ აღიარებულ „დამოუკიდებულ“ სახელმწიფოდ „გადაქცევა“.

კავკასიის საკითხებში გათვითცნობიერებული მეცნიერებისა და ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთი გზა ისაა, რასაც მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარება ჰქვია, როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის მხრიდან, რასაც ერთიც და მეორეც კატეგორიულად უარყოფს, თუმცა, ბოლო დროს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ფაშინიანი დაიმუქრა, რომ აზერბაიჯანის ხისტი პოლიტიკის პასუხად ის იძულებული იქნება, აღიაროს მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა.

ფაშინიანის განცხადებას აზერბაიჯანის პრეზიდენტის ალიევის განცხადება მოჰყვა, რომ მთიანი ყარაბაღი მისია და სომხეთის მიერ ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარებით ვითარება არ შეიცვლება.

ოფიციალური ბაქოს ნეგატიური დამოკიდებულება ყარაბაღის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებული არ არის, ვინაიდან „დამოუკიდებელი“ მთიანი ყარაბაღი, სომხური მოსახლეობით დასახლებული და ეკონომიკურად თავიდან ბოლომდე სომხეთის ბიუჯეტზე ჩამოკიდებული, რა დამოუკიდებელი იქნება, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

„დამოუკიდებელი“ მთიანი ყარაბაღი, კავკასიაში მეორე სომხური სახელმწიფო იქნება, ოღონდ მცირე მასშტაბებში, ერევანს დამორჩილებული. დაუშვებს ამას აზერბაიჯანი და რაც მთავარია (როგორც ალიევი ამბობს), აზერბაიჯანის ძმა და მეგობარი თურქეთი?

ცხადია, არა! აზერბაიჯანის რიტორიკა კონკრეტულია – „დავიბრუნოთ ჩვენი“, ვინაიდან მთიანი ყარაბაღი საბჭოთა კავშირის 70-წლიანი მმართველობის დროს აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყო და ძალისმიერი გზით წაართვეს მას გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს.

ორიგინალურობით ან ახალი იდეებით არც სომხეთი გამოირჩევა. ისიც ისე, როგორც აზერბაიჯანი, მთიან ყარაბაღს უყოყმანოდ სომხურად მიიჩნევს – მტკიცე რიტორიკით – ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ ჩვენს მტრებს, ჩვენს ისტორიულ მიწას. თუმცა იმისთვის, რომ ყარაბაღი მისი იყოს – მიერთების სახით ან თუნდაც დამოუკიდებლობის აღიარებით, არაფერს აკეთებს – საერთაშორისო რეაქციის შიშით. არადა, ყარაბაღის შენახვა ძვირი უჯდება, ვინაიდან მისი ეკონომიკა წამგებიანია, დაბალანსება მხოლოდ სომხური დოტაციით ხდება და უცხოეთში მცხოვრები სომხური დიასპორის ფინანსური დახმარებით.

საქმეს ისიც ართულებს, რომ მთიან ყარაბაღს სომხეთთან ტერიტორიულად არაფერი აკავშირებს, რაც მას, ეკონომიკური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანობას უკარგავს და პოლიტიკურ უპერსპექტივობას უსახავს. სომხეთთან საერთო საზღვრის არქონა ხელს უშლის სომხური ბიზნესის გააქტიურებას, სოციალური პრობლემების მოგვარებას. ყარაბაღის მოსახლეობის სიღარიბე ძალავს პატრიოტიზმს და ხელს ჰკრავს ახალგაზრდობას უცხოეთისკენ.

საერთო საზღვრის შექმნის ანუ მთიანი ყარაბაღის სომხეთთან დაკავშირების მიზნით სომხეთმა 30 წლის წინათ მოახდინა სომხეთ-მთიან ყარაბაღს შორის არსებული აზერბაიჯანული მიწა-წყლის ოკუპაცია და იქიდან ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობის (40000) განდევნა. იმ შემთხვევაში, თუ სომხეთი დაუბრუნებს აზერბაიჯანს დაპყრობილ ჯებრაილს, ლაჩინს და ქელბაჯარს – აზერბაიჯანის ისტორიულ მიწებს, მთიანი ყარაბაღის გარეშე, პრობლემა არ გადაწყდება, ვინაიდან ასეთი დათმობა სომხეთის მხრიდან ისევ ტერიტორიულად დააშორებს სომხეთს მთიანი ყარაბაღიდან და მას აზერბაიჯანულ ეკონომიკურ ალყაში მოაქცევს, რაც საბოლოოდ ყარაბაღის კაპიტულაციით დამთავრდება.

ასე რომ, ერთი მხარის გამარჯვება მიიღწევა მხოლოდ მეორე მხარის დამარცხებით, რისთვისაც რესურსებია საჭირო. ასეთი კი არც ერთს არ გააჩნია. არც აზერბაიჯანი და არც სომხეთი ისეთი ომისთვის, რომელიც დიდი უპირატესობით გამარჯვებას ან ერთს ან მეორე მხარეს მოუტანს, მზად არ არის და ვერც იქნება მათი ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე.

ცხადია, აზერბაიჯანი უკეთ გამოიყურება, მაგრამ სომხური შეუპოვრობის მაგალითი თვალსაჩინოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზერბაიჯანი „ბლიც კრიგის“ გზით ნ დღეში განახორციელებდა რევანშს და რახან ვერ მოახერხა, კონფლიქტმა ქრონიკული სახე შეიძინა, ანუ ის, რაც მას ომის დაწყებამდე ჰქონდა. ასეთ დროს უნდა გაიმარჯვოს მოწოდებამ – დიპლომატიური მოლაპარაკების აღსადგენად. და ალბათ ამას ექნება ადგილი, ვინაიდან ძალის გამოყენების გზით გამარჯვების მოპოვება ან ერთის, ან მეორის მიერ მიუღწეველ ოცნებად რჩება.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება რომ მხოლოდ სომხეთ-აზერბაიჯანზე იყოს დამოკიდებული, სხვა შედეგი გვექნებოდა. მაგრამ ეს კონფლიქტი, როგორც ზემოთ ვთქვით, გასცდა ორი ქვეყნის საზღვრებს და საერთაშორისო სახე შეიძინა. საბჭოთა კავშირის დროს მსგავსი კონფლიქტის ნასახიც არ იქნებოდა და დაპირისპირების გაჩენისთანავე ძირშივე მოისპობოდა. მაშინ არც გარე ძალების ავადმყოფური მიზანი იყო – კონფლიქტის გასაღვივებლად, ვინაიდან კრემლის შიშით ამას ვერვინ გაბედავდა.

მაგრამ საბჭოეთის დაშლამ და კავკასიის მიმართ ინტერესების გაჩენამ მეზობელი სახელმწიფოების და შორეულთა მხრიდან, აგრეთვე მსოფლიო პოლიტიკაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ამჯერად დამოუკიდებელი ქვეყნების გამოჩენამ, მათ მიერ შემუშავებული ახალი პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრამ, ხშირად მოუფიქრებლად, სხვათა კარნახით, მძიმე შედეგები გამოიწვია. გაჩნდა ერთმანეთის საწინააღმდეგო, კონფლიქტის მომასწავებელი გლობალური დაპირისპირება, რომლის ასაგიზგიზებლად ისეთი ადგილობრივი ომიც კმარა, როგორიც ყარაბაღია.

პირველ რიგში, აღსანიშნავია აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთი, რომელსაც ყარაბაღთან ომი, აზერბაიჯანელი მოძმის მიერ წარმოებული, კავკასიაში ძველი დიდების დაბრუნების პერსპექტივას უქმნის და არა მარტო კავკასიაში, არამედ კასპიის ზღვის გავლით ცენტრალურ აზიაში.

დიდი ოსმალეთის აღდგენის სურვილით შეპყრობილი თურქეთის პრეზიდენტი არ ერიდება რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებას. იმ რუსეთთან, რომელიც მას ხელს უწვდის როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ-ენერგეტიკული თვალსაზრისით. ანკარა აშკარად ეხმარება აზერბაიჯანს და მოუწოდებს იომოს გამარჯვებამდე, რაც დიპლომატიური მოლაპარაკებების აღდგენას უდავოდ ეწინააღმდეგება.

აზერბაიჯანთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ისრაელს, რომელიც უპილოტო საფრენი აპარატებითა და სხვა სამხედრო ტექნიკით ვაჭრობს აზერბაიჯანთან. უფრო მეტიც, ისრაელს აზერბაიჯანში საფრენი აპარატების ქარხანაც აქვს გახსნილი. ისრაელის მიზანი ისაა, რომ აზერბაიჯანი დაიგულოს ირანის წინააღმდეგ კონფლიქტში, თუკი ასეთს ექნება ადგილი. აზერბაიჯანიდან თეირანამდე მოკლე მანძილია და ისრაელის სარაკეტო სისტემებისთვის იოლად დასაძლევი.

ისრაელს ნეგატიური, დაძაბული ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანის სტრატეგიულ მოკავშირე თურქეთთან, თუმცა ეს მას ხელს არ უშლის საკუთარი გეგმების განხორციელებაში, რომლის ისრები თეირანისკენ არის მიმართული.

ოფიციალური ანკარის დამოკიდებულება ისრაელის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, მტრულია. პრეზიდენტი ერდოღანი იერუსალიმს თავისად მიიჩნევს, აფინანსებს პალესტინაში არსებულ ორგანიზაცია „ჰამასს“, რომელიც სისხლს უშრობს ისრაელს...

თურქეთ-აზერბაიჯანის პოზიციას იზიარებს უკრაინა, რაც დადასტურდა პრეზიდენტ ზელენსკის თურქეთში ვიზიტის დროს. მან მხარდაჭერა მოიპოვა ყირიმისა და დონბასის დაბრუნების საკითხებში. პრეზიდენტმა ერდოღანმა პრეს-კონფერენციის დროს განაცხადა, რომ აღიარებს უკრაინის მიწა-წყლის მთლიანობას და ვერ შეეგუება რუსეთის მიერ ყირიმის მითვისებას.

ზელენსკიმ მხარდაჭერა აღუთქვა აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით და სურვილი გამოთქვა თურქული უპილოტო საფრენი აპარატების შესყიდვის და თურქეთის მიერ უკრაინაში ამ აპარატების ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით. უკრაინის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს რუსეთის საწინააღმდეგოდ. ამ თვალსაზრისით თურქეთთან „მეგობრობა“ მისთვის ზედმიწევნით ხელსაყრელია.

მთიანი ყარაბაღის თემით „გულგრილი“ არც ევროკავშირი და ნატოა, თუმცა მათი მოწოდება მშვიდობისკენ გულწრფელობის ელემენტებს არ შეიცავს. ანდა რატომ უნდა იყვნენ გულწრფელნი, თუკი ეს კონფლიქტი რუსეთის საზღვრების სიახლოვეს მიმდინარეობს, რითაც ამ ქვეყანას სერიოზული პრობლემები ექმნება?

დასავლეთის მიზანიც ხომ ისაა – ბელარუსის, უკრაინის, საქართველოს, მოლდოვის, ყირგიზეთის, ყარაბაღის სახით რუსეთს სერიოზული პრობლემები ჰქონდეს და ნაცვლად დასავლეთისკენ ყურებისა, მის საზღვრებს ირგვლივ არსებული პრობლემებით იყოს დაკავებული?!

დასავლეთს აქვს პრობლემები თურქეთთან – რუსეთისგან C-400 ანტისარაკეტო სისტემების შესყიდვით გამოწვეული; კვიპროსთან ახლოს გაზის საბადოების უკანონო მოპოვებისთვის გეოლოგიურ-სამძებრო საქმიანობის წარმართვისთვის; რუსეთის წყალობით გაზის „სამხრეთის ნაკადის“ აშენებისთვის და სხვა, მაგრამ ერდოღანი, მიუხედავად სიჯიუტისა, მაინც მისია, ანუ როგორც ამერიკელები ამბობენ „მისი ძაღლის შვილია“ – ასეთი „ძაღლის“ რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოყენება უდავოდ მისწრებაა, თანაც ვითარება ყარაბაღის კონფლიქტის სახით ზედმიწევნით ხელსაყრელია.

რას მოიმოქმედებს რუსეთი, რომელიც ორ ცეცხლს შორის არის მოქცეული?

მას კონფლიქტში მონაწილე აზერბაიჯანთან და სომხეთთან ისტორიული, მჭიდრო ურთიერთობა აქვს. ორივეს, პარიტეტულ საფუძველზე ჰყიდის იარაღს; აწარმოებს სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს; მასპინძლობს აზერბაიჯანულ და სომხურ დიასპორებს ორ-ორი მილიონი ადამიანის სახით; აქვს გახსნილი სამხედრო ბაზა სომხეთში და ა.შ. რუსეთი ვერ დაუშვებს კავკასიაში თურქეთის დომინირებას. რუსეთის ხელისუფლებას ამას საკუთარი ხალხი არ აპატიებს.

თურქეთის სურვილი – გახდეს კავკასიის და ცენტრალური აზიის „სულთანი“, მარტო ამით არ ამოიწურება. ერდოღანს რუსეთში მცხოვრები 25 მილიონი მუსლიმანის სულთნობაც სურს და ყირიმის თავის დაქვემდებარებაში მოქცევაც, რაც უდავოდ გამოიწვევს დაპირისპირებას არა მარტო ვერბალურის სახით, რაც დასავლეთისთვის სრულიად მისაღებია.

რუსეთისთვის მთავარია მოწინააღმდეგე მხარეთა მოლაპარაკების მაგიდასთან დასმა – დასაწყისში ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების საბაბით, შემდგომში, არცთუ შორეულში, საუკუნეთა განმავლობაში გადაუწყვეტელი პრობლემის მოგვარების მიზნით.

რუსეთის წინაშე ურთულესი ამოცანაა – არც ერთი მხარისკენ გადაუხრელად ბეწვის ხიდზე გავლა. თუ ვერ გაივლის, კავკასიას დაკარგავს, თან სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის გულისწყრომას დაიმსახურებს, შესაძლოა, საკუთარი ხალხისაც, დაემშვიდობება საერთაშორისო არენაზე სუპერსახელმწიფოს სახელს.

სასწორზე რუსეთის ხელისუფლებისა და მისი პრეზიდენტის რეპუტაცია დევს. საით გადაიხრება პინა, მომავალი გვიჩვენებს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

თუ რეკომენდაციებს არ დავიცავთ, „სასჯელი“ უმკაცრესი იქნება!

დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალურ სერვისცენტრებში რიგების მართვა იწყება. გარდა ამისა, სერვისცენტრებში მისულ მოქალაქეებს, არქონის შემთხვევაში, პირბადეები დაურიგდებათ.

„არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, გვიწევს გარკვეული ზომების მიღება, იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოება დავიცვათ. მინდა, დავავალო შესაბამის სამსახურებს, რომ სერვისცენტრებში მომსახურების დროს, უზრუნველყოფა გაუკეთონ არსებულ რიგებს, რომ პატარა სივრცეში ძალიან ბევრი ადამიანი არ იყოს შეკრებილი. ჩემი თხოვნა იქნება, ყველაფერი იყოს მოწესრიგებული — დავიცვათ რიგები და ყველა იმ ადამიანს, ვისაც არ ექნება პირბადე, მაქსიმალურად ვეცადოთ, დავურიგოთ, რადგან პირბადის გარეშე შენობაში შესვლა კატეგორიულად მიუღებელია. ამით უნდა დავიცვათ თვითონ იმ მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ასევე, იმ ადამიანებისაც, რომლებიც მოქალაქეებს ემსახურებიან“...

ამასთან, დედაქალაქის მერმა მოადგილეს, ილია ელოშვილს დაავალა, რომ აღნიშნულ საკითხს ზედამხედველობა გაუწიოს, რათა პირბადეები რაიონული გამგეობების უფასო სასადილოებშიც დარიგდეს.

„გარდა ამისა, მინდა დავავალო გამგებლებს, რომ უფასო სასადილოებში, სადაც ძალიან ბევრი ბენეფიციარი გვყავს, პირბადეები მაქსიმალურად, ყველა მოხუცებულს დავურიგოთ. ილია ელოშვილს ვავალებ, რომ ამ საკითხს ზედამხედველობა გაუწიოს“, - განაცხადა თბილისის მერმა.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტს ახალი ავტობუსები და მიკროავტობუსები ემატება. ასევე, შედგება ახალი მარშრუტები, რომელზეც საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმოძრავებს.

„სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, ქალაქში მოქალაქეების გადაადგილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გასამარტივებლად, ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რომელიც ახალი ავტობუსების შემოყვანით, თუ ახალი მიკროავტობუსების შეძენითაა განპირობებული. ასევე, ახალ მარშრუტებს ვადგენთ, რადგან არსებობს მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მეტროსთან დუბლირების შემთხვევები. ეს ყველაფერი დარეგულირდება, მოწესრიგდება და მოსახლეობას წარვუდგენთ პრეზენტაციას, თუ როგორი იქნება ახალი მარშრუტები, რა ნომრები შემოდის, თითოეული მათგანი რა მიმართულებით იმოძრავებს. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მოქალაქეებს მეტი კომფორტი შევუქმნათ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე ინფორმაციით, ახალი მარშრუტების პრეზენტაცია პარასკევს, 23 ოქტომბერს გაიმართება.

დედაქალაქის მერმა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ჭავჭავაძის გამზირზე, ფალიაშვილის, აბაშიძისა და მათ გადამკვეთ ქუჩებზე ზონალურ-საათობრივი პარკირების ამოქმედებასთან დაკავშირებით, საინფორმაციო პავილიონები განთავსდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას უფასო პარკირებით სარგებლობისთვის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია შეუძლია.

კახა კალაძემ აქვე, მოსახლეობას პროექტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

თბილისის მერმა ასევე, ძველ თბილისში, ნაკაშიძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნაკაშიძის ქ. №26-ში მიმდინარე მშენებლობა შეთანხმებული პროექტის ესკიზებს არ შეესაბამება, რის გამოც, ბოლო სართულის დემონტაჟი განხორციელდება.

„ნაკაშიძის ქ. №26-ში, ბოლო წლების განმავლობაში, დანგრეული შენობა იდგა. ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს არ ყოფილა ისტორიული ძეგლი. ამ შენობის ადგილას კონკრეტულ კომპანიას საინვესტიციო პროექტი უნდა განეხორციელებინა, რომელიც მათ საკუთრებას წარმოადგენდა. ჩვენთვის ეს პროექტი მისაღები იყო, რადგან ძველი თბილისის იერსახეს ხელს არ უშლიდა, თუმცა, მშენებლობის პროცესში განსხვავებული სურათი მივიღეთ, პროექტის ესკიზი და მშენებარე შენობა ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ჩვენ ამას ვერ დავუშვებდით და კომპანიას ბოლო სართულის დემონტაჟი მოვთხოვეთ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობა ისტორიულ შენობებს და ძველი თბილისის იერსახეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე მოქალაქეებს პირბადეების ტარებისკენ და სპეციალისტების რეკომენდაციების სრული დაცვისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. კახა კალაძემ საზოგადოებრივ ტრანსპორტში პანდემიის დროს დადგენილი რეკომენდაციების დარღვევის შემთხვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა მსგავს შემთხვევას შესაბამისი სამსახურების მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვება.

ჰეგელი ქართულად



გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა, **ვიქტორ რცხილაძემ** და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი — **ალექსანდრე ალადაშვილი**), გერმანული **„გოეთეს ინსტიტუტის“** დახმარებით მიართვეს.

რელიგიის ფილოსოფიას, თავად ლექციების ავტორი, დიდი გერმანელი მოაზროვნე ჰეგელი ასე მოიხსენიებს: **„უმაღლესი ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია“.**

„ლექციების“ მიზანია, გაარკვიოს რელიგიის ცნება და მისი განვითარების პროცესი ანუ, როგორ აღმოცენდება რელიგია, რა გზით აღწევს სუბსტანციური სული ხალხის ცნობიერებას. ჰეგელის მიზანია, აჩვენოს, რომ თუმცა არსებობს რწმენის სხვადასხვა ფორმა, რელიგიის უმაღლესი ფორმა არის ქრისტიანობა. ესაა აბსოლუტური რელიგია, სადაც რელიგიის ცნება სრულყოფილადაა წარმოდგენილი ანუ ღმერთი აღარაა რაღაც მიღმური, უცნობი, ის ეცხადება ცნობიერებას, ის თვითცნობიერებაა, რომელსაც საგნად თავისი თავი აქვს.

ჰეგელის ნაშრომს თან ახლავს მთარგმნელის წინასიტყვაობა, სადაც განხილულია ჰეგელის ფილოსოფიის არაერთი საყურადღებო საკითხი. საკუთრივ თარგმანი ვიქტორ რცხილაძეს შესრულებული აქვს ზედმიწევნით, ავტორის ურთულესი ენის და სტილის მკაცრი დაცვით. ამასთან დაკავშირებით, მთარგმნელს მოხმობილი აქვს მე-20 საუკუნის ფრანგი ჰეგელელის ერიკ ვეილის ციტატა: **„სამეცნიერო წიგნი არ ექვემდებარება ვულგარიზაციას; არ შეიძლება, მისი კითხვა შევამსუბუქოთ თანმიმდევრული და დეტალური კომენტარების მეშვეობით, არ შეიძლება მისი ტექსტის თარგმნა უფრო „ნათელ“ და მოკლე ენაზე“.**

წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია **„ლატერნაში“** (ცოტნე დადიანის 7, სავაჭრო ცენტრი **„ქარვასლა“**, მე-2 სართული) და **რუსთაველის გამზირზე, №16-ში.**

„პან თადეუში“ კვლავ ეწვევა ქართველ მკითხველს

ამ დღეებში პოეტმა დილარ ივარდავამ ქუთაისიდან წერილი მიიღო...

მოგესალმებით, ბატონო დილარ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და წელთა სიუხვე.

პოლონელი მწერლის ადამ მიცკევიჩის გარდაცვალებიდან 165 წლისთავთან დაკავშირებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო, ქუთაისი) და ბელოსტოკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პოლონეთი, ბელოსტოკი) გამომცემლობების ერთობლივი გადაწყვეტილებითა და თანამშრომლობით სურვილი გვაქვს ადამ მიცკევიჩის პოემის „პან თადეუშის“ ქართული თარგმანის ცალკე წიგნად გამოცემა.

„პან თადეუში“ დაიბეჭდა 1986 წელს საბჭოთა საქართველოს მიერ გამოცემულ მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის 37-ე ტომში (მთარგმნელები დ. ივარდავა და ო. ჭილაძე).

აღნიშნული ნაწარმოები ამჯერად არა კომერციული მიზნებისთვის გამოდის.

მადლობას გიხდით საუკეთესო თარგმანისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო,
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
რექტორი როლანდ კოპალიანი

საქართველოში საყოველთაო კარანტინის წესები იცვლება

საქართველოს მოქალაქეებისთვის 21 ოქტომბრიდან სავალდებულო კარანტინის წესები იცვლება. ეს გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 20 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე მიიღო. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს მოქალაქეები სამშობლოში დაბრუნებისას PCR ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენის შემთხვევაში, სავალდებულო კარანტინის ნაცვლად, თვითიზოლაციას დაექვემდებარებიან.

იმ შემთხვევაში, თუ არ ექნებათ ტესტის პასუხი, მათ კვლავ საკარანტინო სივრცეში განათავსებენ.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, შეასრულონ დადგენილი წესები, გამოიყენონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და მაქსიმალურად შეიკავონ თავი არასაჭირო ღონისძიებებში მონაწილეობისგან.

ფაზისის საერო აკადემიის სხდომა

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, კოლხური ფსალმუნების მრავალტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ეგრისელი.

საერთო კრებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ახლახან გარდაცვლილი პრეზიდენტის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, უკეთილშობილესი პიროვნების და მამულიშვილის ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას.

◎ წყალბურთი

„დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს

პანდემიის გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა 12-მდე შემცირდა. შეჯიბრების მონაწილე 10 კლუბის ვინაობა ცნობილია. მათ შორის არის თბილისის „დინამო“. ლიგის ორი ვაკანტური ადგილისთვის 11-15 ნოემბერს 18 კლუბი იბრძოლებს.

რომში, როგორც საკვალიფიკაციო, ისე ძირითადი ტურნირების წილისყრა გაიმართა. ასპარეზობის 12 მონაწილეც ორ ჯგუფში გადანაწილდა:

A ჯგუფი: „ოლიმპიაკოსი“ (პირეუსი, საბერძნეთი), „პრო რეკო“ (იტალია), „იუგი“ (დუბროვნიკი, ხორვატეთი), „შპანდაუ-04“ (ბერლინი, გერმანია), „მარსელი“ (მარსელი, საფრანგეთი), A კვალიფიკაციის გამარჯვებული.

B ჯგუფი: FTC-ტელეკომი (ბუდაპეშტი, უნგრეთი), „ზოდიაკ ბარსელონეტა“ (ბარსელონა, ესპანეთი), „ვასპო-98“ (ჰანოვერი, გერმანია), „იადრანი“ (ჰერცეგ ნოვი, მონტენეგრო), **„დინამო“** (თბილისი, საქართველო), B კვალიფიკაციის გამარჯვებული.

ჯგუფური შეჯიბრების განრიგი

A ჯგუფი: I **რაუნდი.** I-III ტურები, 14-17 დეკემბერი, 2020 წელი; **II რაუნდი.** IV-VII ტურები, 1-5 მარტი, 2021 წელი; **III რაუნდი.** VIII-X ტურები, 19-22 აპრილი, 2021 წელი;

B ჯგუფი: I **რაუნდი.** I-III ტურები, 15-18 დეკემბერი, 2020 წელი; **II რაუნდი.** IV-VII ტურები, 1-5 მარტი, 2021 წელი; **III რაუნდი.** VIII-X ტურები, 20-23 აპრილი, 2021 წელი;

ფინალი რვა საუკეთესო გუნდის მონაწილეობით 3-5 ივნისს ჰანოვერში გაიმართება.

I რაუნდის შეხვედრათა განრიგი

A **ჯგუფი:** (ოსტია, 14-17 დეკემბერი). I **დღე.** „შპანდაუ-04“ (გერმანია) — „იუგი“ (დუბროვნიკი, ხორვატეთი), „პრო რეკო“ (იტალია) — „მარსელი“ (საფრანგეთი), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — კვალიფიკაციიდან A; II **დღე.** „იუგი“ — „მარსელი“, კვ. A —„პრო რეკო“, „შპანდაუ“ — „ოლიმპიაკოსი“; III **დღე.** „მარსელი“ - კვ. A, „ოლიმპიაკოსი“ - იუგი“, „პრო რეკო“ — „შპანდაუ“.

B **ჯგუფი:** (ბუდაპეშტი, 15-18 დეკემბერი). I **დღე.** „იადრანი“ (მონტენეგრო) — FTC-ტელეკომი (უნგრეთი), „დინამო“ (საქართველო) - კვ. B, „ვასპო“ (გერმანია) — „ბარსელონეტა“ (ესპანეთი); II **დღე.** FTC-ტელეკომი -კვ. B, „ბარსელონეტა“ — „დინამო“, „იადრანი“ — „ჰანოვერი“; III **დღე.** კვ. B — „ბარსელონეტა“, „ჰანოვერი“ — FTC-ტელეკომი, „დინამო“ — „იადრანი“.

ჩემპიონთა ლიგისთვის თბილისის „დინამო“ სექტემბრიდან ემზადება, ორი უცხოელი წყალბურთელიც დაიმატა — იოვან სარიჩი და დუშან ვასიჩი. ქვეყნის ჩემპიონი ამჟამად საქართველოს 2020-2021 წლების ექვსგუნდიან ჩემპიონატში მონაწილეობს და 4 ტურის შემდეგ 12 ქულით პირველ ადგილზეა. ბოლო ტურში დინამოელებმა შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი „ლოკომოტივი“ 25:1 დაამარცხეს.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 12, „არენა“ — 9, „თბილისი“ — 7, „სპორტმენეჯმენტი“ — 4, „ლოკომოტივი“ და „ლაგუნა ვერე“ — თითო-თითო ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

ისევ გადაიდო

რაგბი ევროპამ კიდევ ერთხელ გადადო მისი ეგიდით დანიშნული ბრძოლები, მათ შორის, 1 ნოემბერს თბილისში გასამართავი საქართველო — რუსეთის მატჩი. როდის შედგება ეს შეხვედრა, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

როგორც ორგანიზაციის პრეზიდენტმა ოქტავიან მორარიუმ განაცხადა: **„ვერ დავუშვებთ, რომ თამაშის მონაწილეებს კორონავირუსი შეეყაროთ ან კარანტინში მოუწიოთ გადასვლა. ეს პრობლემატური იქნება მათთვის. ასე რომ, კიდევ უნდა მოვითმინოთ, რათა ტურნირები საუკეთესო გარემოში ჩავატაროთ“.**

კობა კობახიძე

◎ ტაბლო

კალათბურთი. ჩემპიონთა ლიგა. I ტური.

„იბეროსტარ ტენერიფე“ — „ბაკენ ბეარსი“ (დანია) 98:73. გიორგი შერმადინი — 21 წუთში 26 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი, 1 დაფარება. მარგი ქმედების კოეფიციენტი: 34(!).

ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. I ტური.

„ჩელსი“ — „სევილია“ 0:0, „რენი“ — „კრასნოდარი“ 1:1 (**„ე“ ჯგუფი**); „ზენიტი“ — „ბრიუგე“ 1:2, „ლაციო“ — „დორტმუნდი“ 3:1 (**„ვ“ ჯგუფი**); კიევის „დინამო“ — „იუვენტუსი“ 0:2, „ბარსელონა“ — „ფერენცვაროში“ 5:1 (**„ზ“ ჯგუფი**); „პარი სენ-ჟერმენი“ — „მანჩესტერი“ 1:2, „ლაიფციგი“ — „ბაშაქშეჰირი“ 2:0 (**„თ“ ჯგუფი**).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მოძღვრის ნაკვალევზე

შესანიშნავი ვიდეული

ხომ იცით, გულშემატკივარს ყველაფერი აინტერესებს. ჰოდა, ამას წინათ ჩემშიც გაიღვიძა ცნობისმოყვარეობამ და ძველ მოკეთეს, ქუჩაში თინეიჯერ ვაჟიშვილთან ერთად რომ შემხვდა, ვკითხე — გემოვნება ხომ არ შეგცვლია-მეთქი.

მე იგივე ვარ მარად და მარად — ჩვეული რიხით მიპასუხა მუშტაიდის ქომაგთა კლუბში ჭიპმოჭრილმა თანამოსაუბრემ და საკუთარ საყვარელ ფეხბურთელთა აქამდეც კარგად ცნობილი ტრიო ჩამომითვალა იმავე შემადგენლობით: მარადონა, პელე, კრუიფი.

ის-ის იყო, პრინციპულობა შევუქე, ერთგულებისთვის პრიზი გეკუთვნისთქო, რომ უცებ მანამდე უხმოდ მდგომმა მისმა ნაშიერმა ხმა ამოიღო და ასეთი მონოლოგით ჩაგვერთო დიალოგში:

გამიგია, მარადონას კოკაინი ევასებოდაო, პელეც შემაყვარეს, მისი სახელობის ყავას რომ უწევენ რეკლამასო, მაგრამ ეგ კრუიფი ვინღააო?

რომ არ მოგატყუოთ, დავიბენი, რადგან, მაპატიეთ და, თუ იგი სპორტული თვალსაზრისით ასეთი უწიგნური იქნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. მალევე კიდევ უფრო გავოცდი, ვინაიდან გაირკვა, რომ აღნიშნული ყმაწვილი „ბარსელონას“ ფანი ყოფილა, სადაც თავის დროზე „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ მთელი ეპოქა შექმნა, კატალონიელებს ახალი ტაქტიკური მსოფლმხედველობა უანდერძა და, ბოლოსდაბოლოს, როგორც დიდმა რეფორმატორმა და ნოვატორმა მწვრთნელმა, 1992 წელს პირველად მოაგებინა ჩემპიონთა თასი.

აღარაფერს ვამბობთ სამგზის დამსახურებულ „ოქროს ბურთზე“, ამდენჯერვე მშობლიური „აიაქსის“ მაისურით ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში მოპოვებულ გამარჯვებასა და ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მოხვეჭილ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობაზე.

სწორედ დასახელებულმა კურიოზულმა ფაქტმა გვიკარნახა, უპირველესად, ახალი თაობის „ბალელშჩიკთა“ განათლების მიზნით, მკითხველისთვის შემოგვეთავაზებინა ესპანურ პრესაში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც იოჰან კრუიფის იმ შეგირდებზეა საუბარი, ვინც პროფესიონალი მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო ასპარეზზე სცადა ბედი, ზოგმა — წარმატებით, ზოგმაც — წარუმატებლად (იბეჭდება შემოკლებით).

რონალდ კუმანი. „ბლაუგრანას“ მოქმედი თავკაცი იმ ისტორიული გოლის ავტორი გახლავთ, რომელმაც მის კლუბს ზემოთდასახელებული ტიტული მოუტანა. თანამემამულეთა გზები პირველად „აიაქსში“ 1985-1986 წლების სეზონში გადაიკვეთა, სადაც ოსტატი შეგირდს ლიბეროდ ათამაშებდა, ხოლო მოგვიანებით უკვე „კამპ ნოუს“ ბინადართა შეუცვლელი წევრი გახდა.

პეპ გვარდიოლა. ალბათ, დამრიგებლის საუკეთესო მოსწავლე, რომელიც გუნდის ხერხემლად ჩამოაყალიბა. როგორც შეტევის, ისე დაცვის იდეალურ ორგანიზატორს კოჭებშივე ეტყობოდა, რომ რევოლუციონერი — მწვრთნელი გახდებოდა.

ფრანკ რაიკაარდი. „ბარსელონას“ მწვრთნელად კრუიფის რეკომენდაციით დანიშნეს, რასაც შთამბეჭდავი წარმატებები მოჰყვა. ფრანკისა და რონალდინიოს 5-წლიანი თანამშრომლობა ბოლო 2 სეზონში გაფერმკრთალდა, რასაც ბრაზილიელის დროებით კრიზისს მიაწერდნენ.

მარკო ვან ბასტენი. თავდამსხმელთაგან იგი იშვიათი გამონაკლისი გახლდათ, რომელიც მუდმივად კარნახობდა პარტნიორებს, როგორ უნდა განევითარებინათ შეტევა. როგორც წესი, ასე მხოლოდ მეკარეები და საყრდენები იქცევიან. როგორც მწვრთნელს, პიკი ჰოლანდიის ნაკრებში ევრო-2008-ზე ჰქონდა.

ხოსე-მარი ბაკერო. „დიდი ბარსას“ კაპიტანი ტექნიკური არსენალითა და ბრძოლისუნარიანობითაც გამოირჩეოდა, მაგრამ ვერ გამოდგა ისეთი მწვრთნელი, როგორიც ფეხბურთელი იყო. ერთ დროს „ვალენსიაში“ კუმანის თანაშემწეს წარმატებისთვის არ მიუღწევია.

მიქაელ ლაუდრუპი. მართალია, დანიელს კრუიფთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ვარსკვლავად სწორედ მან გამოძერწა. საგულისხმოა პლატინის მოსაზრება: **„ლაუდრუპი ისე რომ თამაშობდეს, როგორც ვარჯიშობს, ჩემზე უკეთესი იქნებოდაო“.** ამ სიტყვებით მიშელმა „იუვენტუსში“ მისი თანაკლუბელის სუსტ მენტალობას გაუსვა ხაზი. მწვრთნელის ამპლუაში მიქაელი თავის გუნდებს ლამაზ ფეხბურთს კი ათამაშებდა, მაგრამ მაქსიმუმი „ხეტაფეს“ კოპა დელ რეის ფინალისტობა გამოდგა.

ხორდი კრუიფი. დიდი მამის შვილის კომპლექსი, ხშირი კონფლიქტები მშობელთან, აგრეთვე სერ ალექს ფერგიუსონთან „მანჩესტერში“... სამწვრთნელო კარიერა აღმოსავლეთში დაიწყო და იქვე აგრძელებს აზიის ჩემპიონთა ლიგაში.

გიორგი შოთაძე

ᲠᲐ ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ

ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ 2-4 კვირის განმავლობაში კორონავირუსის შემთხვევები ვერ შემცირდება, - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„მთავარი აქცენტი დღეს ამბულატორიულ მკურნალობაზე კეთდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ როდესაც გვაქვს ტემპერატურა, სუნთქვის გაძნელება, ხველა და ასევე, კოვიდის ერთ-ერთი მთავარი ნიშნები, როგორიც არის: ყნოსვის, გემოს დაკარგვა, შესაძლოა ახლდეს, განსაკუთრებით ბავშვებში, დიარეა, აუცილებელია, დავუკავშირდეთ ექიმს 112-ის საშუალებით და ექიმმა მართოს ჩვენი სიტუაცია. ექიმი გეტყვით, თუ საჭიროა თქვენი სახლში დარჩენა და უმეტესობას ბინაზე მკურნალობა სჭირდება, უმეტესობას არ სჭირდება წამალი“, — განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, სიცხის დამწევი პაციენტებმა 38 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში უნდა მიიღონ. 10-12 დღის განმავლობაში ვირუსი ორგანიზმიდან გადის და ადამიანი ჯანმრთელდება.

მისი თქმით, კორონავირუსთან საბრძოლველად 5 პრევენციული ღონისძიება რჩება, პირველია პირბადე. „დაბეჯითებით გეუბნებით, რომ პანდემია არ დასრულდება რამდენიმე თვეში და არც ერთ წელიწადში. ვირუსს აქვს თავისი ბიოლოგიური ციკლი და ის თანდათან დასუსტდება. პანდემია სხვადასხვა გათვლებით, ერთ წელიწადში შეიძლება ჩაცხრეს.ამასობაში ჩვენ გვიწევს მასთან ერთად ცხოვრება და ეს უნდა ვისწავლოთ.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ კორონავირუსი კიდევ 1351 ადამიანს დაუდასტურდა, 337 პაციენტი კი გამოჯანმრთელდა.

ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 21 208 შემთხვევაა დადასტურებული, გამოჯანმრთელებულთა საერთო რაოდენობაა 9 003, გარდაიცვალა 172 პაციენტი.

კარანტინის რეჟიმში 4462 ადამიანი რჩება, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ — 3071, კოვიდ-სასტუმროში — 1772, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს 41 მოქალაქე.

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲛ ᲐᲡᲐᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ

30 წლამდე პაციენტი, რომელიც კორონავირუსის შედეგად გარდაიცვალა, თბილისის ზღვის ჰოსპიტალში მკურნალობდა.

როგორც კლინიკაში აცხადებენ, პაციენტი ჰოსპიტალში 18 ოქტომბერს ნინოწმინდიდან გადაიყვანეს. მას სამედიცინო დაწესებულებაში შეყვანისთანავე გართულებები აღენიშნებოდა. ამასთან, პაციენტს რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა ცხელება და სასწრაფო სამედიცინო დაწესებულებისადმი მიმართვა დაგვიანებული იყო. ჰოსპიტალში აცხადებენ, რომ პაციენტი ჭარბწონიანი იყო და მას რაიმე ქრონიკული დაავადება არ ჰქონდა.

30 წლამდე პაციენტი 19 ოქტომბერს იქამდე გარდაიცვალა, ვიდრე კორონავირუსზე ტესტის პასუხი იქნებოდა ცნობილი. თუმცა, როგორც ჰოსპიტალში განმარტავენ, კლინიკაში მიყვანისთანავე კოვიდინფექციაზე მიიტანეს ეჭვი, რის გამოც პაციენტს შესაბამისი მკურნალონა ჩაუტარდა, მაგრამ გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ᲕᲘᲠᲣᲡᲛᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲘᲜᲓᲝ

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ გუბერნატორს ზურაბ ნასარაიას კორონავირუსი დაუდასტურდა. ინფორმაცია imedinews-ს გურიის გუბერნიის პრესსამსახურში დაუდასტურეს.

„ზურაბ ნასარაია ბინაზე იმყოფება და ელოდება ეპიდემიოლოგების მითითებებს და პროტოკოლით დადგენილი წესის მიხედვით იმოქმედებს.

მოადგილეების ტესტის კვლევის შედეგები უარყოფითია. ადმინისტრაციული შენობის სამივე სართულზე, სადაც განთავსებულია გუბერნია, მერია და საკრებულო, სადეზინფექციო სამუშაოები გვიან ღამით ჩატარდა“, — განმარტეს პრესსამსახურში.

ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲣᲜᲘᲦᲑᲝᲓ ᲙᲝᲪᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ პოლიციამ ნიღბის გარეშე კოცნისთვის შეყვარებული წყვილი 360 ევროთი დააჯარიმა.

40 წლის იტალიელმა შეყვარებულს რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ აკოცა, რის შემდეგაც ისინი პოლიციის ალყაში მოხვდნენ. გაირკვა, რომ შეყვარებულებმა კანონი დაარღვიეს, რადგან სამედიცინო ნიღბები მოიხსნეს.

კორონავირუსის გავრცელების შედეგად, იტალიაში სამედიცინო ნიღბის ქუჩაში ტარება სავალდებულოა, ამიტომ პოლიციამ წყვილი დააჯარიმა.

აღმოჩნდა რომ წყვილი ორი წელია, დანიშნულია, თუმცა სხვადასხვა ადგილზე არიან ჩაწერილი. თუ ისინი ოფიციალურად ერთად იცხოვრებდნენ, ჯარიმის აცილებას შეძლებდნენ, რადგან იმ ადამიანებს, რომლებიც ერთ სახლში ცხოვრობენ, ქუჩაში სამედიცინო ნიღბის გარეშე გადაადგილება შეუძლიათ.

წყვილი აცხადებს, რომ ისინი, როცა ერთმანეთს კოცნიდნენ პოლიციას არ დაუნახავს. როგორც ჩანს, იტალიაში ქუჩებში ნიღბის ტარების პროცესს პოლიცია დრონებით აკონტროლებს.

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

მეუღლე ნუგზარ სართანია, შვილები სოფია, ლანა, მირზა, შვილიშვილები, მარიამ, ბაგრატ შონიები, გიორგი, სოფიო ყოლბაიები, სიძეები დევი შონია, მანუჩარ ყოლბაია, ძმა ვახტანგ ბასარია იუწყებიან

მზევინარ (როზა) გიორგის ასული ბასარიას

გარდაცვალების გამო.
ჩამოსვენება ხუთშაბათს, 22 X, 6 სთ. 45 წთ.
პანაშვიდი 23, 24 X. დაკრძალვა 25 X.
გამოსვენება 15 საათზე.
მის: ზუგდიდის რ-ნი სოფ ჭითაწყარი, თბილისის გზატკეცილი 18.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს გაგი ელოშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გაგი ელოშვილი (პ/ნ 06001006604), ქ. თბილისი, აფხაზეთის ქ. №21

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, აფხაზეთის ქ. №21 (საკადასტრო კოდი: 01.16.03.006.041).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 21 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 2 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP68050520;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 680505

6. **მოვალე:** ქეთევან საფარაშვილი (პ/ნ 20001002538), ქ. თბილისი, აფხაზეთის ქ. №21;
ლალი ბალაბანაშვილი (პ/ნ 01019023919), ქ. თბილისი, გვაზაურის ქ. №27/თბილისი, აფხაზეთის ქ. №21.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP68050520; ლოტის ნომერი: 680505).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 2 ნოემბრის 10:00 საათამდე.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“
ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ Ქ. №48. 599 79-76-79; 568 82-09-84

„ნიჭიერთა ათწლედი“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულებათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით

სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედმა“, როგორც მუსიკალური განათლების გამორჩეული ტრადიციის მქონე ისტორიულ-კულტურულმა კერამ, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულმა ინსტიტუციამ, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო აღიარება მოიპოვა და არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ნორჩი ლაურეატების დაჯილდოება საერთაშორისო კონკურსზე. წინა პლანზე პიანისტი და კომპოზიტორი რეზი მარშანია (პედაგოგი – ნატო მაღალაშვილი)

უნიკალური ტრადიციების და ისტორიული წარსულის მქონე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა – „ნიჭიერთა ათწლედი“ თითქმის საუკუნეს ითვლის. ამ სკოლაში აღიზარდნენ მუსიკოსები, რომელთაც შექმნეს მე-20 საუკუნის ქართული სამუსიკო ხელოვნების ისტორია და საკუთარი წვლილი შეიტანეს მსოფლიო საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში.

„ნიჭიერთა ათწლედი“ გამოირჩევა სწავლების მეთოდოლოგიითა და მიღწეული შედეგებით, იგი გახლავთ ქართული კულტურისა და სახელოვნებო განათლების ერთ-ერთი უნიკალური კერა.

რევაზ თოფურია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ვანდალები ბერლინის მუზეუმებში

ვანდალებმა ბერლინის მუზეუმებში 70-ზე მეტი ხელოვნების ნიმუში დააზიანეს. ასეთი რამ ევროპაში იშვიათად ხდება.

დაზიანებულ ნივთებს შორისაა ეგვიპტური სარკოფაგები, ქვის ქანდაკებები და მე-19 საუკუნის ნახატები. ვანდალებმა მათ ზეთოვანი სითხე შეასხეს, მათი მოტივები ჯერ-ჯერობით უცნობია. სპეციალისტები მიყენებული ზიანის ოდენობას ადგენენ.

ახალი აღმოჩენა ნასკას პლატოზე

პერუში არქეოლოგებმა ნასკას პლატოზე გათხრების დროს კატის გიგანტური გამოსახულება აღმოაჩინეს..

გეოგლიფის სიგრძე 37 მეტრს შეადგენს, ასაკი კი 2 ათას წელს აღემატება. კატა მთის ფერდობზე, მარცხენა გვერდზე წევს. პერუს კულტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ ბუნებრივი ეროზიის გამო ნახატი განადგურების საფრთხის ქვეშ არის. სტილისტური თავისებურებებიდან გამომდინარე ის გვიანი პარაკასის პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც კატისებრთა გამოსახულებები ადგილობრივ კულტურაში ძალიან პოპულარული იყო.

კატა ნასკას პლატოს უძველესი ნახატი გახდა, რომელთა უმეტესობაც ძველი წელთაღრიცხვით 100-200 წლებით თარიღდება. ნასკას გეოგლიფები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საპატიო ლეგიონის ორდენი სიკვდილის შემდეგ

ფრანგ მასწავლებელს, 47 წლის სამუელ პატს, რომელსაც გასულ კვირას სავარაუდო ისლამისტმა თავი მოჰკვეთა, სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო, საპატიო ლეგიონის ორდენი გადაეცემა.

საფრანგეთის პროკურატურის ინფორმაციით, სასტიკი დანაშაული 18 წლის ჩეჩენმა ჩაიდინა, რომელიც მოსკოვში დაიბადა და რამდენიმე წლის წინ ოჯახთან ერთად, საფრანგეთში თავშესაფარი მიიღო.

თავდამსხმელი პოლიციამ სპეცოპერაციისას მოკლა.

47 წლის მსხვერპლი სამუელ პატი მუშაობდა ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად პარიზის კონფლან-სენ-ონორინის გარეუბნის კოლეჯში.

სიტყვის თავისუფლების შესახებ გაკვეთილზე, მან თავის მოსწავლეებს აჩვენა წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურები, რომელიც გამოქვეყნდა სატირული გამოცემის Charlie Hebdo-ს მიერ.

სააგენტო AFP-ის ცნობით, ამის შემდეგ, მასწავლებელმა რამდენიმე მოსწავლის მშობლისგან მუქარა მიიღო. მუქარების შესახებ მასწავლებელმა სკოლის ადმინისტრაციას და პოლიციას შეატყობინა.

მოწმეები ირწმუნებიან, რომ სამზარეულოს დანით შეიარაღებული თავდამსხმელი ყვიროდა „ალაჰ აქბარ“! **„მკვლელობის საქმეზე საფრანგეთის პოლიციამ 9 ადამიანი დააკავა. დაკავებულთა ნაწილი მკვლელის ნათესავია, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი“.**

ასევე დააკავეს იმ სკოლის მოსწავლეების მშობლები, სადაც მოკლული პედაგოგი მუშაობდა და უამრავი ადამიანი, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სავარაუდო ტერორისტის ოჯახთან.

ბინძურო არაბებო!..

გასულ კვირას მუსულმანი მამაკაცის მიერ ფრანგი მასწავლებლის თავის მოჭრის შედეგად შექმნილი დაძაბულობის ფონზე, ორი მუსლიმი ქალი ეიფელის კოშკთან ბლაგვი საგნის გამოყენებით დაჭრეს.

საფრანგეთის პოლიციამ დააკავა ორი თეთრკანიანი ეჭვმიტანილი ქალი, რომელთაც შეკამათება მოუვიდათ ზემოხსენებულ ქალებთან – მათ მიმართ ისმოდა რასისტული შეურაცხყოფები, რა დროსაც დაზარალებულ ქალებს „ბინძური არაბები“ უწოდეს. ერთ-ერთმა მუსლიმმა ქალმა განაცხადა, რომ თავდამსხმელებმა მოიმარჯვეს დანა მას შემდეგ, რაც არაბებმა მის მოთხოვნაზე ძაღლისთვის საბმელი გაეკეთებინათ, უარი განაცხადეს. თავდამსხმელებმა თავიანთი მსხვერპლი დაჭრეს თავის ქალის, ზედა კიდურისა და ნეკნების მიდამოებში.

თავდამსხმელები დააკავეს, მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მცდელობისთვის.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 24 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2222; ევრო - 3.8067;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1747;
100 რუბლი - 4.1413; თურქული ლირა - 0.4084;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8968;
1000 სომხური დრამი - 6.5445.

ამინდი 22 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge